დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაკა ტუკვაძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები:

1. მაგდა მიქაბერიძე--ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
2. ირინა გოგონაია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
3. ნანა კასრაძე -საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
4. ნათია ღოღობერიძე -უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
5. თამარ დეკანოსიძე -ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
6. ლილი კაცაძე-ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
7. მარინე კვარაცხელია -სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
8. ნანა ცინცაძე--მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
9. ქეთევან ქობალია- სპორტის საგნობრივი ექსპერტი
10. ნატო ხაჭაპურიძე----------
    ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	218016689

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ქალაქი გორი
იურიდიული მისამართი	გოგებაშვილის ქ. N6
ფაქტობრივი მისამართი	გოგებაშვილის ქ. N6
საფოსტო ინდექსი	1400
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	სკოლას ვებგვერდი არა აქვს
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	gori2@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577922502

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება- MES 1 23 0000543252; 15/05/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 13-14 ივნისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
1.	ზოგადი განათლების დაწყებითი	დაწყებითი	ქართული ენა	ქ.გორი, გოგებაშვილის ქ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საგანმანათლებლო პროგრამა		N6
2.	ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ქ.გორი, გოგებაშვილის ქ. N6
3.	ზოგადი განათლების საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო პროგრამა	ქართული ენა	ქ.გორი, გოგებაშვილის ქ. N6

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლაში 2023 წლის 13 და 14 ივნისს, განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.
სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინფრასტრუქტურა, მათ შორის კომპიუტერული კლასი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია, რომლის შესწავლა განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა.
ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება: დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან.
საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებს. ინტერვიუირების პროცესში, საგნობრივი ექსპერტების მიერ დაისვა დამაზუსტებელი კითხვები კურიკულუმის შემუშავების, განხორციელების, მონიტორინგი/შეფასებისა და რევიზიის პროცესების შესახებ.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა
------	--------	------

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
გორის N2 საჯარო სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციას და არაფორმალური განათლების კომპონენტის გაძლიერებას. ამ მიზნით დაწესებულება მრავალ ორგანიზაციასთან თანამშრომლობს. სკოლა ჩართულია პროექტში, რომლის მიზანია მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის სწორად დაგეგმვა და მოტივაციის ამაღლება, ტექნოლოგიური ცოდნის და ინტერესების გაღრმავება, თანამედროვე, მოთხოვნადი პროფესიით მოსწავლეთა დაინტერესება. აღნიშნული პროექტი ხორციელდება „ევროკავშირი საქართველოსთვის“, ილიას სახელმწიფო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

უნივერსიტეტის, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს, ისტ კლასტერისა და ინოვაციური განათლების ფონდის ერთობლივი თანამშრომლობით, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები გაეცნენ შემდეგ მიმართულებებს: გრაფიკული დიზაინი, ვებ-დეველოპმენტი ვორდპრესის ბაზაზე, 3D მოდელირება, ტექნოლოგიური მეწარმეობა, აპლიკაციის დეველოპმენტი, ფრონტ-ენდ დეველოპმენტი, პროგრამირება პითონით. პროექტის განსაკუთრებული წარმატება იყო სკოლის ერთ-ერთი მოსწავლის ტრენერად დასაქმება, რომელსაც დაევალა სხვა სკოლაში ფრონტ-ენდ დეველოპმენტის სწავლება. ასევე, სკოლის ბაზაზე ხორციელდება პროექტი „კინო სკოლაში“, მოსწავლეები სწავლობენ: კინოკადრის შექმნას, კადრს მიღმა მოქმედებას, მონტაჟს, პარალელურ მოქმედებას, ხმას, პერსონაჟის შექმნას და ა. შ. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, სკოლას აქვს მემორანდუმი „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან“, რომელთა ინიციატივით ხორციელდება პროექტი „ფეხბურთი სკოლებში“ და ხელს უწყობს ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდას და ფეხბურთის მეტად პოპულარიზებას. სკოლა პერიოდულად იწვევს სხვადასხვა პროფესიის მქონე მშობლებს, რომლებიც ხვდებიან მოსწავლეებს და ესაუბრებიან თავიანთი პროფესიების შესახებ. სკოლა პროფ. ორიენტაციის პოპულარიზაციის მიზნით გაკვეთილებზე იწვევს კურსდამთავრებულებს, რომლებიც მოსწავლეებს აცნობენ ინფორმაციას მათ მიერ შერჩეული პროფესიების შესახებ.

სკოლის კიდევ ერთი გამორჩეული პრაქტიკა არის ის, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა თემატიკის კლუბი: ეკო-კლუბი, რომლის ძირითადი მიზანია მოსწავლეებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და მდგრადი პოლიტიკის აუცილებლობის გააზრება. სპორტული კლუბი „ოლიმპი“, რომლის მიზანია მოსწავლეებში ჯანსაღი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავება. ასევე არის „მოლაშქრეთა კლუბი“, სამოქალაქო განათლების კლუბი „მომავლის თაობა“, ტექნოლოგიური კლუბი.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა:	☒	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---------- 890	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

1. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა--სრულ შესაბამისობაშია
2. ზოგადი განათლების საბაზო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა--სრულ შესაბამისობაშია
3. ზოგადი განათლების საშუალო საფეხური ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა-სრულ შესაბამისობაშია

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	ხარვეზი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (კურიკულუმი)	*ხარვეზი*

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 1.2.1.2	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, სტრატეგიული განვითრების შვიდწლინი გეგმა შემუშავდეს შესაბამისობის გეგმით

1 გარდ მეორე სტანდრტის ნაილზივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

		განსაზღვრულ ვადებში (12.07.2023-10.09.2023),
ინდიკატორი 1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (10.09.2023-20.09.2023) უზრუნველყოს, სამოქმედო გეგმაში, შესრულების გაზომვადი ინდიკატორების და მიზნების შესაბამისი აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო რესურსების გათვალისწინება
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფ პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში,(25/07/2023-2-/09/2023), სკოლაში დასაქმებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (16/06/2023-01/06/2024), უზრუნველყოს სკოლის ტერიტორიაზ ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა. კერძოდ, 1. შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება; 2. შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით დასკვნისთვის მიღების უზრუნველყოფა; 3. კანონმდებლობით გათვალისწინებული სამედიცინო პერსონალის (ორი ექიმის) არსებობა
ინდიკატორი 3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში (01.07.2023-01.04.204) სკოლამ უზრუნველყოდ, სწავლების ინკლუზიური გარემოს შექმნა. კერძოდ 1. სპორტულ დარბაზში წვდომის უზრუნველყოფის მიზნით პანდუსის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

		მოწყობა. 2. ბიბლიოთეკაში წვდომის უზრუნველყოფის მიზნით პანდუსის მოწყობა.
ინდიკატორი 3.6.3.1	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით	სკოლამ უზრუნველყოს, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (20.-7.2023-10.09.2023) ვებგვრდის დამზადება
ინდიკატორი 3.6.3.4.	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;	სკოლამ უზრუნველყოს, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (20.-7.2023-10.09.2023) ვებგვრდის დამზადება
ინდიკატორი 3.6.3.5	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების	სკოლამ უზრუნველყოს, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (20.-7.2023-10.09.2023) ვებგვრდის დამზადება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

	დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.	
სტანდარტი 4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*

სტანდარტი 2	*სასკოლო კურიკულუმი* *(ასახეთ კურიკულუმის დასახელება)*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი 1.1.1.2	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო	სასურველია, სკოლის ახალ მისიაში და ხედვაში ჩანდეს სკოლის განვითრების გზები და მიმართულებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

	საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს	(არაფორმალური კომპონენტის გაძლიერებით, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და ა.შ) ზგემში გაცხადებული მიზნების რეალიზებისთვის და დროის პერიოდი სასურველი მდგომარეობის მისაღწევად.
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	მიზანშეწონილია სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 4.2.1.1	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი	მიზანშეწონილია, სკოლის მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების წესი პირველ კლასელების გარდა მოიცავდეს სხვა სკოლიდან და უცხო ქვეყნიდან გადმოსული მოსწავლეების სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 4.2.1.3	მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად	სასურველია, სკოლამ მოსწავლეებს შესთავაზოს ისეთი დამატებითი მხარდამჭერი პროგრამები, როგორებიცაა დაწყებითი კლასის მოსწავლეებში სარემედიაციო აქტივობები, ხოლო მაღალი კლასების შემთხვევაში დამატებითი მეცადინეობები.

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი, საბაზო და საშუალო))	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.1.4	კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.	სასურველია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაიწერის სასკოლო კურიულუმის გაზიარების გზები, რომელსაც სკოლა იყენებს.კერძოდ მშობელთა კრება და სოციალური ქსელში შექმნილი დახურული ჯგუფები.
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	*რჩევა*
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	1. სკოლამ ყურადღება მიაქციოს კურიკულუმში დაშვებულ ტექნიკურ შეცდომებს. კერძოდ, მე-10 კლასის ფიზიკის საგნობრივ კურიკულუმში გამოსასწორებელია ტექნიკური ხარვეზი , შესატანია თემების , ძირითადი საკითხების მიხედვით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

		დასამუშავებელი სამიზნე ცნებები და ქვეცნებები იერარქიის ჩვენებით (ზოგადი და კერძო ქვეცნებები); 2.საბუნებისმეტყველო საგნების სასწავლო პროცესის დაგეგმვა ვიდეო- და ვირტუალურ ექსპერიმენტებთან ერთად სასურველია „ცოცხალი“ ცდების/ექსპერიმენტების ჩატარება. ცდებისა და ექსპერიმენტების რესურსები ასევე სასურველია დაფიქსირდეს საგნობრივ კურიკულუმებში.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზირებს სკოლის არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას და შემუშავებულ დოკუმენტებს, რის შემდეგაც შეიცვალა გარკვეული ინდიკატორების შეფასება. ინდიკატორების ნაწილი შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი, ნაწილი კი მეტწილად შესაბამისი.

არგუმენტირებული პოზიციით სკოლამ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები: 1.განახლებული ,,მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა შეათანხმებული შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, MIA 323 017 40 263; 19/06/2023;

3. საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი;

4.ინფორმაციული ტექნოლოგიებით და ინტერნეტით სარგებლობის წესი.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. განახლებული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, სკოლა გეგმავს აღნიშნული მისიისა და ხედვის რევიზიას. რის გამოც სკოლაში შეიქმნა მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული განვითარების გეგმის შემმუშავებელი ჯგუფი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა არსებული მისიითა და ხედვით განსაზღვრავს ისეთი სოციო-კულტურული სივრცის შექმნას, რომელიც დაემხარება მოსწავლეებს XXI საუკუნის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში, ასევე იმ პასუხისმგებლობის გააზრებაში, რომელიც აქვს საზოგადოების, ქვეყნისა და საკუთარი თავის წინაშე. სასურველია მისიაში ჩანდეს კონკრეტული გზები (არაფორმალური კომპონენტის გაძლიერებით, დაინტერესებული მხარეების ჩართულობით და ა.შ), თუ როგორ გეგმავს სკოლა ზგემში გაცხადებული მიზნების რეალიზებას, რა მიმართულებით აპირებს სკოლა განვითარებას და რა დროში აქვს განსაზღვრული გაცხადებული სასურველი მდგომარეობის მიღწევა.

ინდიკატორი1.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3.დასკვნის პროექტში ასახული იყო, რომ **სკოლას არა ჰქონდა ჩამოყალიბებული ღირებულებები.** თუმცა, სკოლაში მიმდინარე პროცესები ეყრდნობა გარკვეულ პრინციპებს. კერძოდ, სკოლის მიერ წარმოდგენილი კათედრის ოქმები ადასტურებს კურიკულუმების შემუშავებაში მასწავლებელთა გუნდურ მონაწილეობას. სასკოლო და სკოლის გარეთ ინოვაციურ პროექტებში მუშაობის დროს გათვალისწინებულია თანამშრომლობითი პრინციპები. მიმღებლობა და ღიაობა იკვეთებოდა სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს.

სკოლაში დირექტორის ბრძანება N2-63 -ით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა განახლებული მისია, ხედვა და ღირებულებები. ჯგუფი შედგება სკოლის დირექტორის, საგნობრივი კათედრების წარმომადგენლების, სპეციალური მასწავლებლის, სამეურვეო საბჭოში შემავალი მშობლის, სსსმ მოსწავლის მშობლისა და საშუალო საფეხურის მოსწავლისაგან. რაც ადასტურებს სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის ჩართულობას განახლებული მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში.

1.1.1.3 ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. სკოლამ სასკოლო საზოგადოების ჩართულოთ ჩამოყალიბდა ღირებულებები. შესაბამისად ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. დასკვნის პროექტში ასახული იყო, რომ **სკოლას ღირებულებები არა ჰქონდა შემუშავებული.** არსებული მისიის და ხედვის შემუშავების დროს სკოლას არ ჰქონდა გაზიარების ვალდებულება. თუმცა განახლებული ავტორიზაციის სტანდრტების პირობებში, გამოიკვეთა სკოლის მზაობა სკოლის ფილოსოფიის სასკოლო საზოგადოებასთან გაზიარების მიმართებით. კერძოდ, სხვადასხვა არხების გამოყენებით (მაგ. დამრიგებლების მიერ მშობლებისთვის სამუშაო ვერსიის გაცნობა, კათედრებისთვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მიწოდება, ელექტრონული კითხვარის გაკეთება და სხვა), სასკოლო საზოგადოებას, თემის წარმომადგენლებს გასაცნობად მიაწვდიან სკოლის მისია, ხედვის და ღირებულებების პირველად ვერსიას. მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით მოხდება სკოლის ფილოსოფიის მოდიფიცირება.

1.1.1.4 ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. სკოლამ შეიმუშავა ღირებულებები, ასევე განაახლა მისია და ხედვა და ელექტრონული კითხვარების საშუალებით გაუზიარა სასკოლო საზოგადოებას.

ამრიგად, სკოლამ უზრუნველყო ხარვეზის გამოსწორება. ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. როგროც ავღნიშნეთ, დასკვნის პროექტში ასახული იყო, რომ **სკოლას ღირებულებები არ ჰქონდა შემუშავებული.** არსებული მისია და ხედვა გამოკრულია მხოლოდ სკოლის დერეფანშია, რომელიც ჩანაცვლდება რევიზიის შემდეგომ ჩამოყალიბებული მისიითა და ხედვით. სკოლის განმარტებით, საბოლოოდ შეთანხმებული და გაზიარებული სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გახდება საჯაროდ ხელმისაწვდომი. კერძოდ, გამოიკვრება ფოიეში, დაიბეჭდება ბუკლეტები, რომლებიც დაურიგებთ სასკოლო თემს, გავრცელდება სოციალურ ქსელში, ვებ-გვერდის შექმნის შემთხვევაში განთავსდება საწყის გვერდზე.

1.1.1.5 ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას. სკოლამ შეიმუშავა ღირებულებები და გახადა საჯარო. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოქვეყნებულია სკოლის ფეისბუქგვერძზე.

ამრიგად, სკოლამ უზრუნველყო ხარვეზის გამოსწორება. ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია .

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს და განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული შესაბამისი ბრძანებით - „სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლა“, რაც ასევე დასტურდება ამონაწერით საჯარო რეესტრიდან

ინდიკატორი 1.1.1.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. ბრძანება N2-63 ,,სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლის მისიას, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული განვითარების გეგმის შემმუშავებელი ჯგუფის შექმნის შესახებ
2. 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
3. 2023 წლის 30 მარტის ამონაწერით საჯარო რეესტრიდან
4. მისია, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს მისია, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სკოლის ძველ მისიას, ხედვას, ტერმინთა განმარტებას, რეგულირების სფეროს, დაგეგმვის პროცესს და სტრატეგიული გეგმის ჩარჩოს. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით, სკოლა სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე, თვითშეფასების ანალიზის საფუძველზე ადგენს მის წინაშე არსებულ საჭიროებებს და გამოწვევებს. თუ რა ჭირდება მას სასწავლო პროცესის უკეთ განვითარებისთვის, განათლების ხარისხის ამაღლებისთვის, ადმინისტრაციული და პედაგოგიური კოლექტივის პროფესიული უნარების გაზრდის ხელშეწყობისთვის. სტრატეგიული გეგმის მომზადების წინ სკოლა განახორციელებს მოსწავლეთა, მშობელთა, ადმინისტრაციული და პედაგოგიური კოლექტივის კმაყოფილების კვლევებს. კვლევის შედეგების დახმარებით კი უზრუნველყოფს მიზანმიმართულად შეადგინოს განსახორციელებელი ამოცანების ნუსხა და მათი შესაბამისი აქტივობები. უკუკავშირის მიღების მიზნით მოხდება სტრატეგიული გეგმის პირველადი ვერსიის გაზიარება დაინტერესებული პირებისთვის ელ. ფოსტის საშუალებით. უკუკავშირი შესაძლებებლია ზეპირსიტყვიერად ან წერილობითი კომუნიკაციით. რაც შეეხება სამოქმედო გეგმას, იგი წარმოადგენს სტრატეგიულ გეგმაში მოცემული მიზნების მიღწევის უფრო მცირე და შედარებით მოკლე ვადაში შესასრულებელი ამოცანების ერთობლიობას, რომლებიც ერთი წლის პერსპექტივით შემუშავდება.
წარმოდგენილი მეთოდოლოგიის შესწავლით დგინდება, რომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტები და ინტერესები.
ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. დასკვნის პროექტში ასახული იყო, რომ **სკოლას არ აქვს 7 წლიანი, ციკლური, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესაბამისი სტრატეგიული გეგმა.** თუმცა, სკოლაში მიმდინარეობს მუშაობა ამ მიმართულებით. კერძოდ, შექმნილია მისია, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი ჯგუფი და სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების შემმუშავებელი ჯგუფი. მეთოდოლოგია დანართის სახით მოიცავს სტრატეგიული გემის ჩარჩოს, საიდანაც ჩანს, რომ სტრატეგიულ გეგმაში გწერილი იქნება, სტრატეგიული მიზნები, ამოცანები, შესრულების პერიოდი და ინდიკატორები, პასუხისმგებელი და შემსრულებელი პირი/სამსახური.

1.2.1.2 ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას და წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას, რომელიც, აზუსტებს ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ვადებს (12.07.2023-10.09.2023), **აქტივობებს (სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული გეგმის შემუშავება), რესურსებს (ადამიანური) და რისკებს (2%). ამრიგად, ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 1.2.1.2 მეტწილად შეესაბამება.**

3. სკოლამ წარმოადგინა მიმდინარე წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. მისია, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მიხედვით, სამოქმედო გეგმა წარმოადგენს სტრატეგიულ გეგმაში მოცემული მიზნების მიღწევის უფრო მცირე და შედარებით მოკლე ვადაში შესასრულებელი ამოცანების ერთობლიობას, რომლებიც ერთი წლის პერსპექტივით შემუშავდება. დაგეგმვის პროცესი ეფუძნება სკოლის თვითშეფასების ანალიზს. თუ რა საჭიროებების და გამოწვევების წინაშე დგას სკოლა, რა ჭირდება მას სასწავლო პროცესის უკეთ განვითარებისთვის, მოსწავლეთა განათლების ხარისხის ამაღლებისთვის, ადმინისტრაციული და პედაგოგიური კოლექტივის კმაყოფილებისათვის, მათი პროფესიული უნარების გაზრდის ხელშეწყობისთვის.

მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდილოგიით და მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმით დასტურდება, რომ სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი, ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4. დასკვნის პროექტში ნათქვამი იყო, რომ სკოლას აქვს მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც **არ მოიცავდა** შესრულების გაზომვად ინდიკატორებს და მიზნების შესაბამისი აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო რესურსებს, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

1.2.1.4 ინდიკატორთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და წარმოადგენილ შესაბამისობის გეგმას, რომელიც აზუსტებს ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ვადებს (10.09.2023-20.09.2023), **აქტივობებს (სამოქმედო გეგმაში შესრულების გაზომვადი ინდიკატორების და მიზნების შესაბამისი აქტივობების განხორციელებისთვის საჭირო რესურსების გათვალისწინება), რესურსებს (ადამიანური) და რისკებს (2%).**
ამრიგად, ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 1.2.1.4 მეტწილად შეესაბამება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მისია , ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
2. ბრძანება N2-63 ,,სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლის მისიას, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული განვითარების გეგმის შემმუშავებელი ჯგუფის შექმნის შესახებ
3. 2022-2023 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის დასკვნის პროექტში აღნიშნული იყო, რომ სკოლის მიერ შემუშავებული მისია, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია არ მოიცავდა მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. თუმცა, სკოლაში შექმნილი იყო სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონტორინგის ჯგუფი, რომელთა ფუნქცია, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების შემუშავება იყო.

აღნიშნულ ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის მიერ არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილ განახლებული „მისიია, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიას“, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს.
ამრიგად, ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია.

2.დასკვნის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ვერ განხორციელდებოდა. თუმცა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით, არ იკვეთებოდა სკოლის მზაობა, როგორ მოხდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი/შეფასება, სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

1.2.2.2 ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. განახლებულია, „მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია“ მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. აქედან გამომდინარე, სკოლას აქვს მზაობა განახორციელოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესრულების მონიტორინგი/ შეფასება და გაითვალისწინოს დაინტერესებული მხარეების უკუკავშირი, თუმცა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმში, არდამდგარი პროცესის პირობებში, ინდიკატორი 1.2.2.2. ვერ ფასდება

3. როგროც ავღნიშნეთ, დასკვნის პროექტში გაწერილი იყო, რომ სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სკოლას სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები ვერ ექნებადა გასაჯაროებული. თუმცა, მისია, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით არ იყო განსაზღვრული სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების გასაჯაროების მექანიზმები, შესაბამისად არ ჩანდა სკოლის მზაობა შედეგების გასაჯაროების მიმართულებით.

1.2.2.3 ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლამ სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. სკოლამ წარმოადგინა მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების განახლებული მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების შედეგების გასაჯაროების მექანიზმებს. აქედან გამომდინარე, სკოლას აქვს მზაობა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების შედეგები გაასაჯაროოს დადგენილი მეთოდოლოგიის შესაბამისად. თუმცა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმში, არდამდგარი პროცესის პირობებში, ინდიკატორი 1.2.2.3. ვერ ფასდება

4. სკოლის დასკვნის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასების პროცესი ჯერ არ დამდგარა. თუმცა, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიით არ იყო განსაზღვრულია გეგმების შეფასების შედეგების გამოყენების მექანიზმები, შესაბამისად არ ჩანდა სკოლის მზაობა თუ როგორ უზრუნველყოფდა სკოლა შესრულების შედეგების გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ექსპერტთა ჯგუფმა, 1.2.2.4 ინდიკატორთან მიმართებით, გაიზიარა სკოლის არგუმენტირებული პოზიცია. სკოლამ წარმოადგინა მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების განახლებული მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს და ჩანს სკოლოს მზაობა, თუ როგორ გამოიყენებს სკოლა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის, თუმცა პირველადი ავტორიზაციის პირობებში აღნიშნულის შემოწმება და შეფასება ვერ ხერხდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ბრძანება N2-63,, სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“

2. მისია, ხედვა, ღირებულებები და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ გორი N2 საჯარო სკოლამ, სქემის სახით, წარმოადგინა საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა. სკოლის სტრუქტურა მოიცავს: სამეურვეო საბჭოს, სკოლის დირექციას (დირექტორი, დირექტორის მოადგილე და ბუღალტერი), პედაგოგიური საბჭოს (რვა საგნობრივი კათედრა), მოსწავლეთა თვითმართველობას, მრჩეველთა საბჭოს, მანდატურს, ადმინისტრაციას (საშტატო: მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი, ექიმი, ინკლუზიური განათლების სპეციალისტი; არასაშტატო: დამლაგებელი-2, დარაჯი-2, ცეცხლფარეში).
საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული სტრუქტურის სავალდებულო რგოლების მუშაობას არეგულირებს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ“, ხოლო სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე დასაქმებული პირების/ სტრუქტურულ ერთეულების უფლება-მოვალეობები წარმოდგენილია შრომითი ხელშეკრულებით და სტრუქტურული ერთეულების დებულებებით. გარდა ამისა, სკოლამ წარმოადგინა ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების დეტალურად გაწერილი ფუნქცია-მოვალეობების სამუშაო ვერსია, რომელიც დამტკიცდა ვიზიტის დროს. სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.
წარმოდგენილი სკოლის სტურქტურით, პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით და სტრუქტურული ერთეულების დებულებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.
ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია.
2.სკოლამ დასახული მიზნების განხორციელებისთვის შეიმუშავა თავისი ორგანიზაციული მოწყობა. სტრუქტურული ერთეულების დებულებითა და დასაქმებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია მათი ფუნქციები. 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმით დასტურდება, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესებს ჰყავს პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლაში დასაქმებული პირების სისტემური შეფასება ხელს უწყობს სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის გადანაწილებული ფუნქციების ეფექტურ განხორციელებას. სკოლაში ხდება მასწავლებლის მუშაობის შეფასება. კერძოდ, კათედრის წევრების დასწრება გაკვეთილზე, რომლის შემდეგ კეთდება ანალიზი და ფასდება მასწავლებელი. ასევე, სასწავლო წლის დასრულების შემდეგ მოსწავლეთა პროგრესის ანალიზით ხორციელდება მასწავლებლის ირიბი შეფასება და შედეგების კათედრის სხდომებზე განხილვა.

სხვა დასაქმებული პირების შეფასების შესახებ ხედვა წარმოდგენილია სკოლის ,,ხარისხის მართვის დებულებაში". სკოლაში შეიქმნება ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სასკოლო გარემოს გაუმჯობესების მიზნით სოციალური კვლევის ჩატარებას, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის ორგანიზებას, შესაბამისი კითხვარებისა და აუცილებელი დოკუმენტების შემუშავებას, გამოკითხვის შედეგების ანალიზის საფუძველზე შემუშავდება რეკომენდაციები.

დასაქმებულთან გაფორმებული ხელშეკრულება, სტრუქტურლი ერთეულების დებულება, საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი N3, სკოლის ,,ხარისხის მართვის დებულება" იძლევა საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურა
- 2022- 2023 სამოქმედო გეგმა
- შრომითი ხელშეკრულებები
- ხარისხის მართვის დებულება
- ბიბლიოთეკის დებულება
- კათედრის დებულება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

- დამრიგებლის მუშაობის დებულება
- სსიპ გორის N2 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება 2-174 სკოლის ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დამტკიცების შესახებ.
- საბუნებისმეტყველო კათედრის სხდომის ოქმი N3

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. სკოლაში ადამიანური რესურსების მართვა ხორციელდება სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვისა და შერჩევის აქტიური პროცესის განხორციელებით, საჭიროების შემთხვევაში, ხანგრძლივი და რელევანტური ტრენინგებისა და მართვის განვითარების აქტივობების დაგეგმვით; ანაზღაურების, როგორც წახალისების გზით მოტივაციის გაზრდის, რეგულარული დახვეწის გზით; ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების გაღრმავების გზით; დასაქმებულთათვის საჭირო ინფორმაციის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დროულად მიწოდების გზით; თანამშრომელთა საჭიროების კვლევით და მათზე მორგებული პროფესიული განვითარების კონცეფციის შემუშავებით: ტრენინგი, სწავლება, მონიტორინგი და ინდივიდუალური განვითარების გეგმა. იმგვარი გარემოს შექმნით, სადაც შესაძლებელია დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. დოკუმენტის თანახმად, ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, რისთვისაც ხორციელდება სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვის პროცესი. აღნიშული პროცესი ხორციელდება სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისთვის და მათი შემდგომი მოტივაციისთვის დანერგილი გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემის საშუალებით (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ გაკვეთილებზე დასწრება), რომელიც ხელს უწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას. მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასებას სკოლაში ახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფი თავის საქმიანობას წარმართავს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულების შესაბამისად.

პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. შინაგანაწესით განსაზღვრულია: სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, ყოველდღიური სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, შრომის ანაზღაურების გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შრომის პირობების დაცვის წესები, წახალისებისა და პასუხისმგებლობის სახე და გამოყენების წესი, მატერიალური პასუხისმგებლობა, განცხადების/საჩივრის განხილვის წესი, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ზოგადი ნორმები, სკოლაში ჩაცმულობის წესი, შრომითი დისკრიმინაციის აკრძალვა, სამუშაოსთვის დამახასიათებელი მოთხოვნები. სკოლის პერსონალთან გაფორმებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები. პერსონალთან დადებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია, რომ სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.

სკოლის შინაგანაწესის და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის გაცნობა იძლევა საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით განსაზღვრულია სკოლაში დასაქმებული პირების საქმიანობის შეფასება, რაც ითვალისწინებს დასაქმებულის საჭიროების დადგენას, შესაძლებლობების გამოვლენას, სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას და მათი გამოსწორების გზების დასახვას.

სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების და მხარდამჭერი ჯგუფი, რომლის წევრები ესწრებიან მასწავლებლებს გაკვეთილებზე, აძლევენ განმავითარებელ შეფასებას და რეკომენდაციებს. მასწავლებლები იკრიბებიან სამუშაო შეხვედრებზე, სადაც ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას. წარმოდგენილია გაკვეთილებზე დასწრებების განრიგი, სამუშაო შეხვედრის ოქმები და დასწრების მასალები შესაბამისი უკუკავშირებით.

სკოლის განმარტებით, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დირექცია აანალიზებს მომავალი სასწავლო წლისთვის რა პოზიციაზე შეიძლება დასჭირდეს კადრების შერჩევა და წინასწარ აცხადებს კონკურსს.

სასწავლო პროცესის შეუფერხებელი განხორციელების მიზნით, მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში ხდება ჩანაცვლება შესაბამისი კათედრის მასწავლებლით. ამ ეტაპზე სკოლას არ ჰყავს ექიმი, საჭიროების შემთხვევაში მანდატურები უზრუნველყოფენ მოსწავლისთვის/პერსონალისთვის პირველადი დახმარების გაწევას.

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3.. სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება კონკურსით, მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის წესის შესაბამისად. სხვა საჭირო კადრისთვის წინასწარ განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და ქვეყნდება საკონკურსო განაცხადთან ერთად მასწავლებლის დასაქმების ვებგვერდზე (ექიმის და სპეც. პედაგოგის შერჩევა). სკოლის საკონკურსო მასალების გაცნობით დგინდება, რომ ვაკანტურ ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსი გამჭირვალეობის პრინციპის დაცვით მიმდინარეობს. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია კონკურსის ვადები, პირობები, კონკრეტული პოზიციისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. განაცხადი ქვეყნდება საჯაროდ, მასწავლებლის ვაკანსიის ვებგვერდზე.

დასკვნის პროექტში ნათქვამია, რომ **სკოლამ ვერ წარმოადგინა** კანონმდებლობით განსაზღვრული ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობისა“ და ,,უფლების ჩამორთმევის“ ცნობები. **არგუმენტირებული პოზიციის დროს, 3.1.2.3 ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ვადებს (25.07.2023-20.09.2023), **აქტივობებს** (სკოლაში დასაქმებულების მიერ კანონმდებლობით დადგენილი ცნობების წარმოდგენის უზრუნველყოფა) **რესურსებს (ადამიანური) და რისკებს (3%). ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაზიარებულია სკოლის პოზიცია და ინდიკატორი 3.1.2.3 შეფასდა მეტწილად შესაბამისი.**

4. სკოლაში დასაქმებულია 63 თანამშრომელი, მათ შორის 54 მასწავლებელია, აქედან 30 უფროსი მასწავლებელია, 21 წამყვანი, 1 მაძიებელი, 1 მოწვეული, 1 უსტატუსი (საგზაო ნიშნები)მასწავლებელი. სკოლაში კონკურსის წესით დასაქმებულია სპეც პედაგოგი. აღნიშნული მასწავლებლები შერჩეული არიან „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტით დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად.

პერსონალის პირადი საქმეებში განთავსებულია მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები. პერსონალის პირადი საქმეებისა და eSchool ბაზა მონაცემების შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებილი პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

ინდიკატორი 3.1.2.4. დაკმაყოფილებულია.

5. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა სკოლაში უზრუნველყოფს იმგვარი გარემოს შექმნა, სადაც შესაძლებელია დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. კათედრების წარმომადგენლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ კათედრების მუშაობა ეფუძნება გუნდური მუშაობის პრინციპს. კათედრის თითოეული წევრი ჩართულია კურიკულუმების შემუშავების პროცესში. ხდება გამოცდილების გაზიარება, ერთად გეგმავენ სხვადასხვა პროექტებს. აქტიურია კათედრებს შორის თანამშრომლობა, რასაც მოწმობს განხორციელებული პროექტები, რომლებიც გამოფენილია სკოლის შენობაში. დირექტორმა აღნიშნა, რომ თავისი კოპეტენციის ფარგლებში სკოლის თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული თვითშეფასების კითხვარის შემუშავებაში. სამასწავლებლოში განთავსებული ოვალური დიდი მაგიდა და თითოეული პედაგოგისთვის განკუთვნილი ლოკერები, ქმნის თანამშრომლობით და გუნდური მუშაობის გარემოს, სადაც ასევე დაცულია პიროვნების პირადი სივრცე.

ამდენად, სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ინდიკატორი 3.1.2.5 დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

6. კათედრის დებულებით განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, მათ შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი იყო წარმატებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება.
ინტერვიუსა და კათედრის ოქმის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების პრაქტიკა.
ინდიკატორი 3.1.2.6 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი.

2.. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა

3. კათედრის სხდომის ოქმი

4.თანამშრომელთა პირადი საქმეები

5. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები და დანიშვნის ბრძანებები.

6.ვაკანტურ პოზიციაზე შერჩევის მასალები

7. გაკვეთილიზე დასწრების მასალები.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა", რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სკოლის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში. ამისთვის სკოლა შეიმუშავებს შეფასების გამჭვირვალე სისტემებს. თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენა განხორციელდება შესრულებული სამუშაოს ანალიზის საფუძველზე. ძლიერი და სუსტი მხარეების განსაზღვრითა და შესაძლებლობებისა და საფრთხეების არსებობით, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების საქმიანობაზე. თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას და სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარების მართვას სკოლაში უზრუნველყოფს დირექტორის მოადგილე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლაში მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებას ახდენს მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი. ჯგუფის საქმიანობა რეგულირდება დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულებით. დოკუმენტში გაწერილია ხარისხის ჯგუფის საქმიანობის წესები, გაკვეთილზე დაკვირვება/შეფასების, მასწავლებლის საქმიანობის შეფასებისა და მათი განვითარების მიზნით სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვის მექანიზმები.

წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებული.

2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით ჩანს, რომ სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას განახორციელებს შესრულებული სამუშაოს ანალიზის საფუძველზე. გამოვლენილი საჭიროებების დადგენის შემდეგ მოხდება პერსონალის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა. კერძოდ, სხვადასხვა სახის კონფერენციები, პროექტები, რომელშიც ჩართულები იქნებიან სკოლის თანამშრომლები.

მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულებით განსაზღვრულია მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობები: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგების ჩატარება და მასწავლებელთა გადამზადება. სკოლაში პროფესიული განვითარების აქტივობები განხორციელდება, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე გარედან შემოთავაზებული სერვისების გამოყენებით, რაც დასტურდება 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმით.

ინდიკატორი 3.2.1.2 დაკმაყოფილებული.

3. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ერთ-ერთი ამოცანაა, სკოლაში დასაქმებულთა პროფესიული განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვა, მასწავლებლის კარიერულ წინსვლას არეგულირებს "მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა". სკოლა ხელს უწყობს მასწავლებელთა კარიერულ წინსვლას. დირექტორის წარდგინებით ხდება მასწავლებლები სტატუსის ამაღლება.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებული.

4. სკოლას, შემუშავებული აქვს ,,ახალი თანამშრომლის სკოლაში ადაპტაციისა და სოციალიზაციის წესი", სადაც გაწერილის ადაპტაციისა და სოციალიზაციის აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და განხორციელების პერიოდი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ახალი მასწავლებლის წარდგენა ხდება შესაბამის კათედრაზე, სხვა პერსონალის შემთხვევაში კი შესაბამის სტრუქტურული ერთეულის თანამშრომელთან, სადაც გუნდის ახალ წევრს გააცნობენ სკოლაში დამკვიდრებულ ტრადიციებსა და წესებს. ხდება ახალი თანამშრომლის გაწევრიანება საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში. ახალ თანამშრომელს გადაეცემა სკოლის შინაგანაწესი და ხელისმოწერით ადასტურებს მისი გაცნობის ფაქტს, რომელიც ასევე გაწერია შრომით ხელშეკრულებაში. სკოლა, ადაპტაციისა და სოციალიზაციის არსებული წესით უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციას.

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5.სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლით განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების მექანიზმები. სკოლა გამოიყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება, ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა, დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. დასაქმებულის წახალისების შესახებ გადაწყვეტილება ფორმდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით. 2023 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია პერსონალის პრემიებისთვის თანხები.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლის ,,მასწავლებელთა ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდაჭერი ჯგუფის დებულება
3. ადამიანური რესურსების პოლიტიკა
4. 2022-2023 სამოქმედო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. ტრეინინის გავლის ცნობები
6. კონფერენციის სერთიფიკატები
7. გაკვეთილის შეფასების მასალები

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ,,ხარისხის მართვის დებულება“. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით სკოლაში, დირექტორის ბრძანებით, შეიქმნება ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის მიზანია სკოლაში სასწავლო მუშაობის, პერსონალის პროფესიული განვითარების ხარისხის სისტემატური შეფასება, შეფასების საფუძველზე ვითარების გაუმჯობესების ან დამაკმაყოფილებელი ვითარების შემთხვევაში, მისი შენარჩუნებისა და შემდგომი გაუმჯობესებისთვის საჭირო წინადადებებისა და რეკომენდაციების შემუშავება. ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროცესების პერიოდულ შეფასება და რევიზია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. შეფასება მოხდება შემდეგი ინსტრუმენტების გამოყენებით: სოციალური კვლევა, კითხვარები და სხვა. მიღებული შედეგების ანალიზი გათვალისწინებული იქნება ახალი პროცესების დაგეგმვის დროს.
სკოლას შემუშავებული აქვს მეთოდოლოგიური დოკუმენტები (კურიკულუმის შემუშავება, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავება), რომლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობა ხორციელდება, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის, დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე განავითარე, პრინციპის დაცვით.
ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია.
2 სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში, კერძოდ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, კათედრის დებულება აღწერს საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითად პროცესებს, სხვადასხვა კოლეგიური ორგანოები, დირექცია პედსაბჭო და სამეურვეო საბჭო ძირითადად მმართველობით ფუნქციას ასრულებს, შრომით ხელშეკრულებებით აღწერილია, როგორც ძირითადი და მმართველობითი, ასევე დამხმარე პერსონალის ფუნქციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებული.

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. მასწავლებლის დისციპლინური წარმოება, რომელიც ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, მოიცავს გასაჩივრების მუხლს, დისციპლინური გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სამეურვეო საბჭოში. ,,ვაკანტური ადგილების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესის" თანახმად, მასწავლებელს შეუძლია კონკურსის შედეგები გაასაჩივროს საპრეტენზიო კომისიაში. დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილია სადავო საკითხების გასაჩივრების შესაძლებლობა.

ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. კერძოდ, დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებებში გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები, პერსონალური მონაცემების დამუშავება, გამოყენება და გავრცელება, ასევე სადავო საკითხების გადაწყვეტის პირობები. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით დასტურდება ხელშეკრულების და შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი. შინაგანაწესი ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის, გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე. ასევე დამრიგებელი, ახალი სასწავლო წლის დასაწყისშივე, მშობელს/ კანონიერ წარმომადგენელს აცნობს სკოლის შინაგანაწესს მშობელთა კრებაზე.

ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.1. სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლის ხარისხის მართვის დებულება

2.დასაქმებულთან და მშობელთან/კანონიერი წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

3. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

4. სასკოლო სასწავლო გეგმა

5. კათედრის დებულება

6. სკოლის შინაგანაწესი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შენობის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი და პერიოდულად ქვეყნდება სასწავლო პროცესთან დაკავშირებული სიახლეები. მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ინფორმირებას უზრუნველყოფს დამრიგებელი. სასწავლო წლის დაწყებისას მას ევალება მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს შემდეგი დოკუმენტაცია: სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ქცევის კოდექსი, გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები, ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი; სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა და სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია. სკოლას არა აქვს ვებგვერდი, თუმცა ფეისბუქგვერდის საშუალებით უზრუნველყოფს ინფორმაციის გასაჯაროებას და შესაბამის უკუკავშირს, რომელსაც სკოლა იყენებს სასწავლო პროცესის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გასაუმჯობესებლად. სასკოლო გარემოს შეფასების მიზნით, სკოლა ატარებს მოსწავლეებისა და მშობლების პერიოდულ გამოკითხვას ან/და კვლევას. სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის კვლევის კითხვარიდან, ჩანს რომ სკოლის სურვილია დაადგინოს როგორ დააკმაყოფილოს მშობელთა საჭიროებები და სურვილები მოსწავლის სწავლისა და კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. კვლევის შედეგებს სკოლა გამოიყენებს უკეთესი სასწავლო პროცესის დასაგეგმად. მაგალითისთვის გამაოდგება სასკოლო ბუფეტის ხარისხის გაუმჯობესება. მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების ანალიზზე, მოხდა კვების ობიექტის მომსახურე სუბიექტის ცვლილება.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2.ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობას სკოლის მართვაში.

ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. დამრიგებლის დებულება
3. მშობელთა კრების ოქმი
4. სასკოლო ცხოვრებაში მშობლის ჩართულობის კვლევის კითხვარი, კითხვარები მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა, ფიზიკურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას უზრუნველყოფს ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად. სკოლას ჰყავს მანდატურის სამსახური და შესაბამისი კვალიფიკაციის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც გავლილი აქვს მანდატურის სამსახური მიერ დამტკიცებული ტრენინგ-მოდული, რაც დასტურდება სერტიფიკატით. უსაფრთხოების მიზნით, სკოლის პერიმეტრი შემოღობილია. დაცულია უცხო პირთა გადადგილება, რომელზეც პასუხისმგებელია სკოლის 2 დარაჯი. დარაჯის პასუხისმგებლობაა აღრიცხოს ვიზიტორთა ჟურნალში სკოლაში შემოსული პირები, ასევე აკონტროლოს გაკვეთილის დროს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეთა უნებართვოდ გასვლა სკოლის შენობიდან. უსაფრთხოების პრევენციის მიზნით, დაწყებითი კლასები განთავსებულია შენობის პირველ სართულზე ორივე ცვლაში, ხოლო საბაზო და საშუალო კლასები და მე-5, მე-6 კლასები მეორე სართულზე.

დასკვნის პროექტში აღნიშნული იყო, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა საგანგებო მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმების პროცესშია. ვიზიტის დროს, 2023 წლის 14 ივნისს, გაიგზავნა შეთანხმების წერილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში. არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამის უწყებასთან შეთანხმებული საგანგებო მართვის გეგმა.

დასკვნის პროექტში ნათქვამია, რომ სკოლას **არა აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.** თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მიერ, გაცემული მიწერილობის შესაბამისად სკოლამ განახორციელა ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების მოწყობისთვის საჭირო ღონისძიებები. 2023წლის 5მაისს გააფორმა ხელშეკრულება შპს ,,დეტექტივთან", რომელმაც უზრუნველყო შესასრულებელი სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება, აღნიშნული **პროექტი შესათანხმებლად,** 2023 წლის 14 ივნისს გაეგზავნა შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს. ასევე, სკოლას შემუშავებული ჰქონდა პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი. შენობის პირველ სართულზე ფუნქციონირებდა სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილი იყო საჭირო ინვენტარით, თუმცა **სკოლას არ ჰყავდა კანონმდებლობით გათვალისწინებული სამედიცინო პერსონალი- ორი ექიმი.** საშტატო ერთეულით სკოლას, განსაზღვრული ჰყავდა სამედიცინო პერსონალი-ექიმი, მიმდინარე სასწავლო წელს სამჯერ გამოაცხადა ვაკანსია, თუმცა სასურველი კადრის მოძიება ვერ მოახერხა. ამ ეტაპისთვის საჭიროების შემთხვევაში პირველად დახმარებას სკოლაში, მანდატურები უზრუნველყოფენ.

სკოლას ასევე არ ჰქონდა **დასკვნა შენობის ექსპლუატაციის** უსაფრთხოებაზე, თუმცა გაგზავნილი იყო წერილი, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესაფასებლად.

ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნულ 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ვადებს (16.06.2023-01.06.2024). ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილად შესაბამისობაშია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სკოლას აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები. კერძოდ, სკოლის შინაგანაწესში გაწერილი ,,სასკოლო პროცესის მარეგულირებელი ნორმების“, დისციპლინური დევნა და დისციპლინური წარმოების წესი. სკოლაში არის მანდატურის სამსახური, განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის დარაჯი, დამრიგებლები და სკოლის ადმინისტრაცია თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფენ სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.

ინდიკატორი 3.4.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას განსაზღვრული აქვს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები. კერძოდ, საჭიროების შემთხვევაში, ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, შესაბამისად სკოლის მანდატურები უზრუნველყოფენ მოსწავლის ფსიქოლოგით მომსახურებას შესაბამის სამსახურთან გადამისამართებით. სასკოლო კურიკულუმი და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები სკოლაში ქმნის ფსიქო-ემოციურად უსაფრთხო გარემოს. მაგალიტად, საგნობრივი კურიკულუმების ფარგლებში განხორციელებული კომპლექსური დავალებები, სკოლის სადამრიგებლო პროგრამით გათვალისწინებული თემები: პიროვნული და მორალური განვითარება, მოქალაქეობრივ-პატრიოტული ცნობიერება, უსაფრთხოება და ძალადობისგან თავისუფალი სკოლის პოპულარიზაცია; სკოლაში განხორციელებული საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია მიმართულია ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე. სკოლაში საზიარო სივრცეების არსებობა მოსწავლეებს ეხმარება სოციალიზაციის პროცესში. სკოლის შესასვლელში გამოფენილი სხვადასხვა პროექტების ფარგლებში წარმდგენილი მრავალფეროვანი ნამუშევრები, იძლევა შთაბეჭდილებას რომ სასკოლო საზოგადოებას აქვს სკოლის მიმართ დადებითი, ემოციური და მიკუთვნილობის განცდა.

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლას შემუშავებული აქვს ,,სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესები“, სადაც გაწერილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პროცედურები. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ დაწესებულების შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმია და სადეზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. ყველა სველი წერტილი უზრუნველყოფილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირები.

ინდიკატორი 3.4.1.4.დაკმაყოფილებულია

5. სკოლამ წარმოადგინა პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, სადაც გაწერილია: მონაცემთა დაცვის პრინციპები, პერსონალური მონაცემების დამუშავება, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვა ელექტრონული პროგრამის (Teams) გამოყენებისა და ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, მონაცემების დაცვა ვიდეოთვალთვალის განხორციელებისას, ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის ნომრის გამოყენებისას, მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმისა და ელექტრონული ბაზის წარმოებისას. განსაზღვრულია მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირი და მათი უფლებამოსილება. თანამშრომლებთან და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებებით რეგულირდება პერსონალური მონაცემების დამუშავება, გამოყენება და გავრცელება.

სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა და დასაქმებულ პირთა მონაცემების დამუშავებას აღნიშნული წესის შესაბამისად. სკოლაში რეგისტრაციის დღიდან იწყება მოსწავლეთა მონაცემების დამუშავება და გრძელდება მთელი სასწავლო ცხოვრების მანძილზე. ელექტრონულ სისტემაში სკოლის მონაცემთა ბაზის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი.

ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია.

6. სკოლის მიერ დამტკიცებული ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმებით“ დეტალურადაა განსაზღვრული სკოლაში არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. მონაცემთა დაცვის მონიტორინგი, განსაზღვრავს სკოლის ვალდებულებას უზრუნველყოს არსებული მონაცემების დაცვა შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე დაიცვას ელექტრონული ინფორმაცია არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. სკოლას ჰყავს საინფორმაციო მენეჯერი, რომელიც პასუხისმგებელია კომპიუტერული ლაბორატორიის უსაფრთხო და ეფექტური მუშაობაზე.

ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

7. სკოლის დირექტორის განმარტებით, სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც დასტურდება დირექტორის მ/შ, 2022-2023 წლის ანგარიშით, ,,სკოლის ტერიტორეაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.“ ანგარიშში ნათქვამია, სკოლაში უსაფრთხოების დაცვის მიზნით გატარდა პრევენციული და ინტერვენციული ღონისძიებები. ჩატარდა საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია, ძალადობის, ბულინგი, კიბერბულინგის და დისკრიმინაციის წინააღმდეგ, ასევე საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის გაცდენებთან და მათ მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით. სკოლამ მიიღო ზომები სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა დაგაადგილების შეზღუდვაზე და ა.შ

3.4.1.7. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; შეათანხმებულია შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, MIA 323 017 40 263; 19/06/2023
2. დირექტორის ბრძანება № 1/კ-19; უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ.
3. უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის გადამზადების სერთიფიკატი
4. დირექტორი მ/შ, 2022-2023 წლის ანგარიში ,,სკოლის ტერიტორეაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან მიღებული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით.
5. დირექტორი მ/შ N 691768 წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსს, საგანგებო სიტუაციების გეგმის შესათანხმებლად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. დირექტორი მ/შ N 691374 წერილი შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსს, შენობის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების პროექტის
7. დირექტორი მ/შ N 690364 წერილი სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს
8. დირექტორის ბრძანება N2-20; 15/02/2021 ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ“
9. პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი
10. სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი
11. დირექტორის ბრძანება N1-14 03/09/2020 სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ.
12. დამლაგებლის შრომითი ხელშეკრულება
13. სკოლის შინაგანაწესი
14. დამრიგებლის სამუშაო დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერით, სსიპ გორის მე-2 საჯარო სკოლა ფუნქციონირებს, ქ. გორში. გოგებაშვილის N6 მდებარე ორსართულიან შენობაში. სკოლის შენობა, შესაბამისი მიწის ფართით სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. შენობა-ნაგებობების ფართია 1598.00კვ.მ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სკოლაში სულ 15 საკლასო ოთახია. გარდა საკლასო ოთახებისა, სკოლაში არის კომპიუტერული კლასი, სპორტული დარბაზი, რესურსოთახი, ბიბლიოთეკა, ინგლისური ენის კაბინეტი, სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი, ადმინისტრაციის ოთახები, ბიჭების, გოგონების, პერსონალის და სსსმ პირისთვის განკუთვნილი სველი წერტილები. სკოლას აქვს ეზო და შენობის შესასვლელში დიდი სივრცე, სადაც შესაძლებელია მოსწავლეთა შეკრება და სხვადასხვა სახის აქტივობების გამართვა.

საკლასო ოთახები აღჭურვილია მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი მერხებით, სკამებით, მასწავლებლის მაგიდით, სკამით და დაფებით. სკოლის ბალანსზეა-468 მერხი, აქედან 36 დასაწყობებულია. ადმინისტრაციის ყველა წევრს აქვს სამუშაო ოთახი აღჭურვილი საჭირო ინვენტარით, მათ შორის კომპიუტერული ტექნიკით.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, სკოლას არსებული ქონება გადაეცა უვადოდ, რაც იძლევა გარანტიას, რომ ავტორიზაციის ვადით უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მატერიალურ რესურსით.

ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია.

2.სკოლაში არის საერთო სარგებლობის სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო კაბინეტი, სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი და სამასწავლებლო. სკოლის ფოიე, დერეფნები და ეზო იძლევა საშუალებას სხვადასხვა აქტივობების ჩასატარებლად და სრულფასოვანი დასვენებისთვის.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია

3.როგროც დასვნის პროექტში ავღნიშნეთ, სკოლის შენობის შესასვლელი ადაპტირებულია, შენობის პირველ სართულზეა ადაპტირებული სველი წერტილი, 6 საკლასო ოთახი, რესურს ოთახი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი, სპორტული დარბაზი, თუმცა სპორტულ დარბაზში ჩასასვლელად საჭიროა რამდენიმე კიბის დაძლევა და არ არის პანდუსი გათვალისწინებული, ასეთივე მოწყობა აქვს სკოლის ბიბლიოთეკას, იგი განთავსებულია ნახევარსარდაფში და ჩასასვლელი არ არის ადაპტირებული.

3.5.1.3 ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ვადებს (01.07.2023-01.04.2024). ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და ინდიკატორი 3.5.1.3 შეფასდა მეტწილ შესაბამისობაში.

4.. შენობის ინფრასტრუქტურა საშუალებას იძლევა სკოლა სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბდეს. სკოლის ეზო, შესასვლელი ფოიე, სპორტული დარბაზი და კომპიუტერული ლაბორატორია ქმნის შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სკოლის ბაზაზე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული და შემეცნებითი აქტივობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებულია

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსები.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის (ისტ-ის მიმართულებით), მოწყობილია კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია პროექტორი და ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები.

ბუნებისმეტყველებისთვის-თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, შესაბამისი ლაბორატორიული აღჭურვილობით.

ფიზიკური აღზრდა- სპორტული დარბაზი, რომელსაც არა აქვს გასახდელები. სკოლას აქვს სპორტის გაკვეთილების განსახორციელებლად საჭირო სპორტული ინვენტარი.

საბაზო და საშუალო საფეხურები:

საბუნებისმეტყველო მიმართულებით:

სკოლას აქვს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია გამწოვი სისტემებით. ლაბორატორიული სამუშაოებისთვის განკუთვნილი სადემონსტრაციო მაგიდები უზრუნველყოფილია ინდივიდუალური წყლის ონკანებით. საბუნებიმეტყველო ლაბორატორიას აქვს დამხმარე ოთახი, სადაც კარადებში და ყუთებში განთავსებული საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვილობა. ქიმიური რეაქტივები მარკირებულია და ინახება წესის შესაბამისად. ლაბორატორიაში არის ყველანაირი პირობა, კურიკულუმით გათვალსიწინებული პრაქტიკული სამუშაოს ჩასატარებლად.

სპორტის გაკვეთილებისთვის-სკოლაში არის სპორტული დარბაზი, ასევე ეზოშია სპორტული მოედანი, თუმცა საჭიროებს რეაბილიტაცის და ამ ეტაპზე არ გამოიყენება სპორტის გაკვეთილების ჩასატარებლად. დირექტორის განმარტებით სტადიონს არა აქვს ხელოვნური საფარი და ვერ უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფიზიკურ უსაფრთხოებას.

კომპიუტერული კლასი-საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული ციფრული რესურსების განხორციელებისთვის.

სამივე საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ბიბლიოთეკაში არის როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები ასევე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერი წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სახელმძღვანელოების დათვალიერებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლის ბიბლიოთეკა განთავსებულია სარდაფში, რაც აზიანებს წიგნებს. ვიზიტის დროს მკითხველის ფორმულარები შეფუთული იყო პოლიეთილენის პარკებში სინესტისგან დასაცავად. დირექტორის მოადგილის განმარტებით, იგეგემება ბიბლიოთეკისთვის სხვა ინფრასტრუქტურის შერჩევა. სკოლას აქვს სხვადასხვა სახის თემატური თვალსაჩინოებები: რუკები, პლაკატები, ცხრილები, მოდელები და სხვა წარმოდგენილი რესურსებით სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმებით დაგეგმილი აქტივობების განხორციელებას, თუმცა სპორტის გაკვეთილებისთვის საჭიროა, სკოლამ უზრუნველყოს არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია

ინდიკატორი 3.5.1.5 დაკმაყოფილებულია

.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
2. სკოლის სქემა
3. დირექტორის ბრძანება 2-547; 30/11/2022 სსიპ გორის მე-2 საჯარო სკოლაში ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ
4. ინვენტარიზაციის შედეგების აქტიN 1 30/12/2022
5. საგნობრივი კურიკულუმები
6. ბიბლიოთეეკის დებულება
7. ბიბლიოთეკის ფონდის საინვენტარო წიგნი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1 შემუშავებულია ,,სკოლის ციფრული განვითარების გეგმა". სკოლის ციფრული განვითარება ორი მიმართულებით იგეგმება: კომპიუტერული ტექნიკა და მონაცემების შეგროვება/დამუშავება.
ციფრული განვითარების გეგმით აღწერილია სკოლის ახლანდელი ინფრასტრუქტურა და განსაზღვრულია სამომავლო გეგმები. ამჟამად სკოლაში, მუშა მდგომარეობაში არსებული კომპიუტერების რაოდენობაა 58 კომპიუტერი. მათ შორის 6 კომპიუტერი განსაზღვრულია სკოლის ადმინისტრაციისთვის. სკოლას აქვს 6 პროექტორი და ქსეროქს-პრინტერის 3 აპარატი. საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს კომპიუტერული ლაბოლატორია და ბიბლიოთეკა. მასწავლებლებისთვის ასევე საზიაროა სამასწავლებლო, თუმცა საკმარისი კომპიუტერული ტექნიკის (2კომპიუტერი) არარსებობის გამო ყველა მასწავლებლისთვის ხელმისწვდომი არაა ადგილზე კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობა. ადმინისტრაციას ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საზიარო სამუშაო სივრცე არ ჭირდება, რადგან ადმინისტრაციის ყველა თანამშრომელი უზრუნველყოფილია კომპიუტერული ტექნიკით. მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია საინფორმაციო მენეჯერი. ამ ეტაპზე სკოლის ინტერნეტის სიჩქარეა - 80 მეგაბიტი. სკოლის ყველა აუდიტორია დაფარულია ინტერნეტით, თუმცა მისი ხარისხი დაბალია. სკოლას საკუთარი სახსრებით (სკოლის ბიუჯეტით) შეძენილი აქვს ქსეროქსი-პრინტერი, მუსიკალური ცენტრი, დინამიკები, კომპიუტერების გასაძლიერებლად მყარი დისკები, სკოლას ამ ეტაპზე გრანტით მიღებული აქვს 1 ნოუთბუქი, 1ქსეროქსი(კომბაინი), ვიდეო კამერა, ფოტოაპარატი. განსაზღვრულია სკოლისთვის საჭირო კომპიუტერული ტექნიკის რაოდენობა: 60 კომპიუტერი, 15 პროექტორი, 10 ქსეროქსი+პრინტერი, 2 ციფრულ ფოტო აპარატი, 2 ჭკვიანი დაფა. ასევე დაგეგმილია 80 კვ.მ სარდაფის ათვისება მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის სამუშაო სივრცის მოსაწყობად და EMIS-თან შეთანხმებით ინტერნეტსიჩქარის გაუმჯობესება. სკოლა გეგმავს შეიმუშაოს გარკვეული წესები ინტერნეტის სარგებლობასთან დაკავშირებით, რათა არ მოხდეს მისი არამიზნობრივად გამოყენება, ასევე ცდილობს ჩაერთოს ისეთ პროექტებში, რომელიც დაეხმარება ტექნიკის მოზიდვაში. სკოლას შემუშავებული აქვს მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების გეგმა, რათა შეძლოს თანამშრომლებში, მშობლებში, მოსწავლეებში ინფორმაციის მოგროვებისა და დამუშავების პროცესის გამარტივება და ავტომატიზირება.

სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის აღწერიდან ჩანს, რომ ამ ეტაპზე არსებული კომპიუტერების რაოდენობა სრულად ვერ უზრუნველყოფს სკოლის საჭიროების დაკმაყოფილებას კომპიუტერული ტექნიკით, თუმცა რამდენადაც სკოლა გააზრებული აქვს კომპიუტერული ტექნიკის როლი სასწავლო პროცეში და წარმოადგინა ,,ციფრული განვითარების გეგმა“ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ დაგეგმილი ღონისძიებები უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას

ინდიკატორი 3.6.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ციფრული განვითარების გეგმიდან, ჩანს, რომ სკოლაში არის საზიარო სამუშაო სივრცე, კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ ნებისმიერ მოსწავლეს ან/და მასწავლებელს შეუძლია სკოლის კომპიუტერული ტექნიკის გამოყენება, როგორც საშინაო დავალებების შესასრულებლად, ისე პრეზენტაციების, ონლაინ ჟურნალში სამუშაოდ და ასევე ტრენინგების ჩასატარებლად. კომპიუტერულ ტექნიკის გამართულ მუშაობაზე პასუხისმგებელია სკოლის საინფორმაციო მენეჯერი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

როგორც დასკვნის პროექტში ავღნიშნეთ, სკოლას არა ჰქონდა შემუშავებული გარკვეული წესები ინტერნეტის სარგებლობასთან დაკავშირებით, რათა არ მოხდეს მისი არამიზნობრივად გამოყენება. ასევე კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებელის უფლებებს (შეიყვანოს და დაარედაქტიროს ტექსტი, მოიძიოს და გადმოწეროს საჭირო მასალები; ისარგებლოს ელექტრონული რესურსით და მათი გამოყენებით იმუშაოს ლიტერატურაზე) და შეზღუდვებს (დაუშვებელია კომპიუტერებში რაიმე ფაილის წაშლა, ასევე მისი გამოყენება თამაშებისა და სხვა გართობისათვის)

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა, ,,ინფორმაციული ტექნოლოგიების და ინტერნეტით სარგებლობის წესი"დამტკიცებული დირექტორის ბრ. 2-240; 28/07/2023. აღნიშნული წესით განსაზღვრულია: ინფორმაციული უსაფრთხოების მართვა და პასუხისმგებლობები, ინფრასტრუქტურა, კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის მიზნები და ამოცანები, ძირითადი პრინციპები და ფუნქციები, ლაბორატორიაში არსებული სასკოლო ინვენტარი და აღჭურვილობის დაზიანება და პასუხიმგებლობა, IT აღჭურვილობა, სკოლის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მასწავლელის, მოსწავლის პასუხისმგებლობები, ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები და საქმისწარმოების ელ. სისტემა(eflow). ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგულენტირებულ პოზიციას, ინდიკატორი 3.6.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა
- ინვენტარიზაციის უწყისით
- დირექტორის ბრ. 2-240; 28/07/2023 დამტკიცებული ,,ნფორმაციული ტექნოლოგიების და ინტერნეტით სარგებლობის წესი"

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას და ადგენს დოკუმენტებსა და მოქალაქეთა განცხადებებზე, წერილებზე მუშაობის წესს. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელი პირია საქმისმწარმოებელი. მისი ფუნქციები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით. საქმისმწარმოებელი ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას, ახორციელებს მოსწავლეების ჩარიცხვა-ამორიცხვას, უზრუნველყოფს სკოლის არქივის დაცვას, გასცემს დოკუმენტაციის დამოწმებულ ასლს, ასევე უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას, იღებს შემოსულ კორესპონდენციას, უზრუნველყოფს შემოსული კორესპოდენციის შესწავლასა და ადრესატისთვის წარდგენას და სხვა. ბრძანებები სისტემატიზებულია საკადრო და საერთო ბრძანებებად. ბრძანებები ინომრება წლიდან წლამდე, გამოცემის თარიღისა და რიგითობის მიხედვით. სკოლას ასევე აქვს სარეგისტრაციო 3 სახის ჟურნალი: საკადრო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი, საერთო ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალი და შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვის ჟურნალი. ჟურნალები დანომრილი, აკინძული, ბეჭედდასმული და ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ.

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაცია. საქმისწარმოების წესის შესაბამისად საქმისმწარმოებელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს დოკუმენტებზე რეაგირების ვადების დაცვას.

წარმოდგენილი მასალების დათვალიერებით დგინდება რომ, სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის უწყებებთან და აწვდის დროულ უკუკავშირს. კერძოდ, ავსებს თვითშეფასების კითხვარს და წარუდგენს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, ასევე ხარვეზის გამოსწორების მასალებს. თანამშრომლობს შიდა ქართლის საგანმანათლებლო რესურსცენტრთა დროულად აწვდის ინფორმაციას საფეხურის დაძლევი, მედალოსნების, ექსტერნის გამოცდებისა სხვა მნიშვნელოვან დავალებებზე.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის დირექტორის მ.შ 2023 წლის 12 ივნისის N 173 ბრძანებით დამტკიცებული ,,საქმისწარმოების წესი“
2. სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში
3. საქმისწარმების ჟურნალები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.როგროც დასკბნის პროექტში ავღნიშნეთ, სკოლა არა ჰქონდა ვებ-გვერდი, თუმცა საზოგადოებასთან საკომუნიკაციოდ იყენებდა სოციალურ ქსელს, სადაც გახსნილი აქვს თავისი გვერდი და იძლევა წერილის მიწერის შესაძლებლობას, ასევე სკოლის ფოიეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც მუდმივად ხდება სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე სიახლეების გამოქვეყნება. დამრიგებლის მუშაობის დებულება განსაზღვრავს დამრიგებლის ვალდებულაბას, მუდმივი კომუნიკაცია ჰქონდეს მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან და მიაწოდოს ყველა საჭირო ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მოსწრების, დისციპლინისა და სასკოლო ცხოვრების შესახებ.

3.6.3.1 ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ვადებს (20.07.2023-10.09.2023). ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას, ინდიკატორი 3.6.3.1 შეფასდა მეტწილ შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

2.რამდენადაც სკოლის მარეგულირებელი დოკუმენტები კანონმდებლობასთან შესაბამისობაში, სკოლის მიერ გავრცელებული საკანონმდებლო საკითხებთან გავრცელებული ინფორმაცია იქნება ზუსტი და უტყუარი. რაც შეეხება სოციალურ ქსელში ინფორმაციის გავრცელებას, სკოლას განსაზღვრული ჰყავს პასუხისმგებელი პირი, რომელიც მართავს სოციალური ქსელს და უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელების სიზუსტეს.
სკოლის ფეიბუქგვერდის https://www.facebook.com/profile.php?id=100055274745047 დათვალიერებით, ჩანს რომ დაინტერესებული პირებისთვის მიწოდებული ინფორმაცია: პირველკლასელთა რეგისტრაციის ვადები და პირობები, აბიტურიენტებისათვის შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი მიერ დაგეგმილი ონლაინ ღია კარის დღეები, მასწავლებელთა სახლის მიერ დაგეგმილი ვებინარი და სხვადასხვა მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სასწავლო თუ შემეცნებითი ღონისძიებები, არის სანდო, რამდენადაც ყველა ინფორმაცია გავრცელებულია პროვაიდერის ოფიციალური გვერდიდან.
ინდიკატორი 3.6.3.2 დაკმაყოფილებულია.

დასკვნის პროექტში არნიშნული იყო, რომ სკოლას **საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი არა ჰქონდა შემუშავებული.** თუმცა თვლიდა, რომ მნიშვნელოვანია საზოგადოების აზრი სასკოლო ცხოვრების, სწავლა-სწავლების მიმდინარეობის, სკოლის სტრატეგიული გეგმის მიხედვით მუშაობასთან დაკავშირებით და სხვა აქტუალურ საკითხებზე. აღნიშნულის შესახებ საუბარია ,,სკოლის ციფრული განვითარების გეგმაში". სკოლა გეგმავს ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით, გამოკითხვების ჩატარებას მოსწავლეებთან, მათ მშობლებთან, მასწავლებლებთან, სასკოლო თემის წარმომადგენლებთან. ,,მონაცემების შეგროვებისა და დამუშავების გეგმიდან" ჩანს, რომ გამოკითხვის შედეგად მიღებული ინფორმაციის დამუშავების შედეგები ცნობილი გახდება სასკოლო საზოგადოებისთვის და აისახება ახალი სასწავლო წლისთვის სკოლის განვითარების გეგმაში. გეგმაში გაწერილ ყველა აქტივობას ჰყავს პასუხისმგებელი პირი.
სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დროს წარმოადგინა, ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი"დამტკიცებული დირექტორის ბრ. 2-241; 28/07/2023. აღნიშნული წესით განსაზღვრულია: საზოგადოებასთ ურთიერთობის ზოგადი პრინციპები, ინფორმაციის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა, ინფორმაციის გავრცელების ინტერნეტრესურსი, შიდა და გარე კომუნიკაცია, მოტივაციის ამაღლება და ინიციატივების ხელშეწყობა, უკუკავშირის შედეგები და ანალიზი. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის პოზიციას. ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

4. დასკვნის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლას არა ჰქონდა ვებგვერდი.

3.6.3.4 ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ვადებს (20.07.2023-10.09.2023). აქტივობებს (შესაბამის უწყებასთან კომუნიკაცია ვებ გვერდის დამზადების თხოვნის თაობაზე; ვებ გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება.) რესურსებს (ადამიანური) , სხვა ჩართულ მხარეებს(სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა) და რისკებს (5%).
ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და ინდიკატორი 3.6.3.4 შეფასდა მეტწილ შესაბამისად.

5. . დასკვნის პროექტში აღნიშნულია, რომ სკოლას არა ჰქონდა ვებგვერდი.

3.6.3.5 ინდიკატორთან მიმართებით სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ვადებს (20.07.2023-10.09.2023), აქტივობებს (შესაბამის უწყებასთან კომუნიკაცია ვებ გვერდის დამზადების თხოვნის თაობაზე; ვებ გვერდზე სტანდარტით განსაზღვრული ინფორმაციის განთავსება.) რესურსებს (ადამიანური) , სხვა ჩართულ მხარეებს(სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა) და რისკებს (5%).
ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს არგუმენტირებულ პოზიციას და ინდიკატორი 3.6.3.5 შეფასდა მეტწილ შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1,სკოლის სოციალური ქსელის მისამართი: https://www.facebook.com/profile.php?id=100055274745047

2.სკოლის ციფრული განვითარების გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

3.დამრიგებლის სამუშაო დებულება

4. საინფორმაციო მენეჯერთან გაფორმებული ხელშეკრულება

5. დირექტორის ბრ. 2-241; 28/07/2023 დამტკიცებული ,,საზოგადოებასთან ურთიერთობის და კომუნიკაციის წესი“

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

1.გორის მე-2 საჯარო სკოლის 2023 წლის ბიუჯეტით და სკოლის დირექტორის წლიური ფინანსური ანგარიშით დგინდება, რომ ბიუჯეტის შემუშავების დროს ხდება წინა წლის დაგეგმილი და შესრულებული ბუიჯეტის ანალიზი და მომდევნო წლის ბიუჯეტის პროექტის შემუშავება. დირექტორის განმარტებით, ბიუჯეტის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. თითოეული სტრუქტურა, სკოლის დირექციას სამსახურებრივი ბარათით აწვდის ინფორმაციას მომავალი წლისთვის საჭირო შესასყიდის შესახებ. 2023 წლის ბიუჯეტიდან ჩანს, რომ გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული მიზნების შესრულება, კერძოდ, სსსმ მოსწავლეებისთვის დამატებითი დაფინანსება და დასაქმებულის წახალისებისთვის პრემიების გაცემა.

ინდიკატორი 3.7.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი წინა წლის ბიუჯეტის ანალიზის, სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით და წარუდგენს დირექტორს. დირექტორს საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილება და მომზადებულ ბიუჯეტის გეგმის პროექტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წევრებს განსახილველად. მოწოდებული რეკომენდაციების და შენიშვნების კორექტირების შემდეგ უკვე ხდება მისი დამტკიცება სამეურვეო საბჭოზე და ფორმდება ოქმი. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლავ ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშსს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა.

ინდიკატორი 3.7.1.2 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სსიპ გორის მე2 საჯარო სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი
2. დირექტორი მ/შ ანგარიში ფინანსური საქმიანობის შესახებ
3. 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის შინაგანაწესში გაწერილი ინფორმაცია მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის, პასუხისმგებლობის სახეებისა და დისციპლინური წარმოების წესის შესახებ. სკოლაში არის დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს, სკოლას აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომელშიც დეტალურად არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

გაწერილი როგორ ხდება მოსწავლის უფლებების დაცვა სხვადასხვა შემთხვევაში, მაგალითად ელ. ჟურნალის წარმოებისას, თიმსის პლატფორმის გამოყენებისას. მოსწავლეთა უფლებებსა და ძირითად გარანტიებს არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი, სემესტრული და ექსტერნის გამოცდის ჩატარების მექანიზმები, ინკლუზიური განათლების რეგულაციები, მათ შორის ისგ შემუშავებისა და შინ სწავლების პირობები. დამრიგებლის დებულებით განსაზღვრულია მოსწავლესა დაა მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მიეწოდოს ინფორმაცია გაცდენებისა და მოსალოდნელი ექსტერნის გამოცდების შესახებ. სკოლას აქვს ფოტო, ვიდეო გადაღებაზე და შემდგომ სოციალურ ქსელში გავრცელებაზე თანხმობის ფორმა. სკოლა აფორმებს მოსწავლესა და მშობელს შორის ხელშეკრულებას, რომელშიც განსაზღვრულია მხარეთა უფლებები და ვალდებულებები. სკოლაში, დირექტორის ბრძანების შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის უსაფრთხოების შესახებ. სკოლას შემუშავებული აქვს ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია, რომელიც მოიცავს, რეგულირების სფეროს და სამართლებრივ საფუძვლებს, ტერმინთა განმარტებას, სკოლის უფლებამოსილებებს, რეფერირების პროცედურების განხორციელებასა და შიდა ინსტრუქციის დაცვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრას, ბავშვზე ძალადობის საფუძვლიანი ეჭვის გაჩენის სხვადასხვა გარემოებებს, ბავშვზე ძალადობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში განსახორციელებელ ქმედებებს, ძალადობის მსხვერპლი ბავშვის მდგომარეობაზე ზედამხედველობას, ინფორმაციას „ცხელი ხაზის“ შესახებ, ინფორმაციის კონფიდენციალურობას და ბავშვთა ძალადობის გამოვლენისა და შესაბამისი ინფორმაციის უფლებამოსილი ორგანოსთვის მიწოდების ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევას.

სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით, დამრიგებლის დებულებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა, ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციით, მშობელთან/ კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებით დგინდება, რომ სკოლა შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და გარანტიების დაცვას.

ინდიკატორი 4.1.1.1.დაკმაყოფილებულია

2. დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სამეურვეო საბჭო ამტკიცებს სკოლის შინაგანაწესს, რომელიც გამოკრულია დერეფანში და სასკოლო საზოგადოების ჩართულობით მასში ხორციელდება ცვლილებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვლისწინებს შინაგანაწესის გაცნობას, რაც დასტურდება ხელმოწერით.
ამდენად, სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციები შემუშავებულია კანონმდებლობის სრული დაცვით და მარტივად აღსაქმელია, ხოლო გაწერილი წესები და პროცედურები გამჭვირვალე და მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი.
ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია
3.. მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან სკოლას გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, სკოლის საქმიანობის, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემთა გამოყენების წესის, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადისა და შეწყვეტის წესის და სხვა დამატებითი პირობების შესახებ.
ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი
2. ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია
3. მშობელთა კრების ოქმი
4. სასკოლო სასწავლო გეგმა
5. მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება
6. სკოლის დირექტორის ბრძანება 2-488; 13/10/2022 მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით, სსიპ ქალაქ გორის N2 საჯარო სკოლა ხელმძღვანელობს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის“ შესაბამისად. წესის შესაბამისად, პირველ ეტაპზე ირიცხებიან სსსმ მოსწავლეები მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე, მეორე ეტაპზე ირიცხებიან ის მოსწავლეები, რომელთა და-ძმა სწავლობს აღნიშნულ სკოლაში, ხოლო მესამე ეტაპზე ყველა სხვა სასკოლო ასაკის მოსწავლე. დაინტერესებული მხარეების ინფორმირებისთვის სკოლა აღნიშნულ ინფორმაციას ათავსებს საინფორმაციო დაფაზე და ფეისბუქ გვერდზე. საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაცია მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლაში არსებობს პასუხისმგებელი პირი, საქმისმწარმოებელი, რომლის ვალდებულებაა აწარმოოს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა სკოლის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში. სკოლა მოსწავლეთა სტატუსის შეჩერებას თან დაკავშირებით ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას. მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრებას მონიტორინგს უკეთებს კლასის დამრიგებელი. ბრძანებებით.

ინდიკატორი 4.1.2.1.დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დგინდება,რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება და შეწყვეტა კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

ინდიკატორი 4..1.2.2. დაკმაყოფილებულია

3.სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სოციალური ქსელის საშუალებით, ხელმისაწვდომია სასკოლო ცხოვრების ამსახველი მასალები. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნორმები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

წარმოდგენილ ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი

ინდიკატორი 4..1.2.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლის დირექცია უზრუნველყოფს მასწავლებელთა საერთო ჯგუფებში ისეთი ინფორმაციის გავრცელებას, რომელიც არის გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული, რასაც მასწავლებლები თავის მხრივ მოსწავლეებს უზიარებენ. სკოლის სოციალური ქსელით შესაძლებელია სასკოლო ცხოვრების შესახებ ინფორმაციის გავრცელება. ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებელია გვერდის ადმინისტრატორი. ასევე დამრიგებლების საშუალებით მშობელს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი შვილისა და სკოლის სერვისების შესახებ. სკოლის დერეფანში საჯაროდ გამოკრული ინფორმაცია არის კანონმდებლობის შესაბამისი, არადისკრიმინაციული და გამჭვირვალე.

ინდიკატორი 4.1.2.4.დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.სკოლის შინაგანაწესი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

.2. სოციალური ქსელი https://www.facebook.com/profile.php?id=100055274745047

3.დამრიგებლის სამუშაო დებულება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის დებულება, რომელიც მოიცავს მხოლოდ პირველკლასელთა სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმებს და არაფერია ნათქვამი სხვა სკოლიდან გადმოსული, უცხო ქვეყნიდან ჩამოსული მოსწავლეების შემთხვევებში ადაპტაციის რა მექანიზმებს გამოიყენებს სკოლა. კერძოდ, მოსწავლის ადაპტაციისთვის განსაზღვრული აქტივობები, ადაპტაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი და ადაპტაციის პერიოდი

სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დამრიგებელი სასწავლო წლის დაწყებამდე ხვდება პირველკლასელთა მშობლებსა და მოსწავლეებს, აცნობს სასკოლო გარემოს, შემდეგ მოსწავლეთა მშობლები ავსებენ ანკეტას, რომელშიც მოცემულია კითხვები მშობლის საკონტაქტო ინფორმაციასთან და მოსწავლის მახასიათებლებთან დაკავშირებით. დამრიგებელი მიღებულ შედეგებს აცნობს სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), და მასზე დაყრდნობით გეგმავს სასწავლო პროცესს. სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოში ადაპტაციის მექანიზმები გაწერილი სასკოლო სასწავლო გეგმის ინკლუზიური განათლების ნაწილში.

ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის დებულებით და ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლა სწავლის დაწყებიდანვე ხელს უწყობს მოსწავლეებს ადაპტირდნენ გარემოსთან, რისთვისაც დამრიგებლები იყენებენ ანკეტირებას და კითხვარებს მშობლებისთვის, მასზე დაყრდნობით წარმართავენ მშობელთან და მოსწავლეებთან ურთიერთობას და განსახორციელებელ აქტივობებს. ადაპტაციის პროცესში აქტიური ყურადღება ექცევა დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლების კომუნიკაციას მოსწავლის მშობელთან. სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლასთან ადაპტაციის პროცესში წარმატება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მშობლებზე, რამდენად ითვალისწინებენ მასწავლებელთა რეკომენდაციებს. საჭიროების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შემთხვევაში, სპეციალური მასწავლებელი თანამშრომლობს ადრეული განვითარების სპეციალისტებთან, ფსიქოლოგებთან, ქცევის თერაპევტებთან. ასევე, სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეების უმტკივნეულო ტრანზიციის პროცესის მართვას.

ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებული

3.. დამრიგებლის დებულებით და ინტერვიუებით დადგინდა, რომ სემესტრის მიმდინარეობის დროს და დასასრულს, კლასის დამრიგებლები ინდივიდუალურად აცნობენ ინფორმაციას მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სემესტრული გამოცდები. აღნიშნულთან დაკავშირებით საჯარო ინფორმაცია ქვეყნდება სკოლის სოციალურ გვერდზე, აგრეთვე ხდება მშობლების ინფორმირება დამრიგებლის მიერ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის საშუალებით. სასურველია, გარდა იმისა, რომ სკოლა აცნობს მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს მშობლებს და ატარებს გამოცდებს, საჭიროა დამატებითი მხარდამჭერი პროგრამების შეთავაზება, როგორებიცაა დაწყებითი კლასის მოსწავლეებში სარემედიაციო აქტივობები, ხოლო მაღალი კლასების შემთხვევაში დამატებითი მეცადინეობები.

ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებული

4. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სასკოლო სასწავლო გეგმით წინასწარ განსაზღვრულია სკოლაში წლიური, სემესტრული ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესები და პირობები, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესები. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, ეხმარება ღონისძიებების ჩატარებაში და უცხადებს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, როგორებიცაა „რა, სად, როდის“, „ტვინების ბრძოლა“, საქველმოქმედო ღონისძიებები, სკოლის თვითმმართველობის მიერ ორგანიზებული ტრენინგები და სხვა.

ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებული

5.. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა წახალისების ფორმები. სკოლაში ხორციელდება საკლუბო მუშაობა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი კლუბები: სასპორტო კლუბი - ,,ოლიმპი“, ,,ეკო-კლუბი“, მოლაშქრეთა კლუბი, კინო მოყვარულთა კლუბი - ,,კინო-სკოლაში“, ტექნოლოგიური კლუბი, ,,ოსტატი ხელები“, სამოქალაქო განათლების კლუბი,,მომავლის თაობა“. კლუბები ახორციელებენ დამატებით/არაფორმალურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

აქტივობებს მოსწავლეებთან, სკოლის სხვა პედაგოგებთან და მოწვეულ სტუმრებთან ერთად. სკოლის მიერ მხარდაჭერილია მოსწავლეთა ინიციატივები საჭირო რესურსების მიწოდებისა და სამუშაო სივრცის გამოყოფის მიმართულებით. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა თანამშრომლობას არასამთავრობო ორგანიზაციებთან არაფორმალური განათლებისა, განვითარებისა და გამოცდილების მიღების მიზნით. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა რიგი აქტივობებისა, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეთა ინდივიდუალური უნარებისა და შესაძლებლობების გამოვლენასა და რეალიზებას, როგორიცაა პროექტი „Technovation girls 2023", სკოლას აქვს მემორანდუმები გაფორმებული სხვადასხვა ორგანიზაციებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ მრავალფეროვანი აქტივობებისა და პროექტების შეთავაზებას მოსწავლეებისათვის.

ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია

6. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა უკუკავშირს, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური აქტივობებისა და შეთავაზებული სერვისის მიწოდების პროცესში. ინტერვიუს დროს სკოლის წარმომადგენლებმა გაიხსენეს ბოლო პერიოდში მომხდარი შემთხვევა, როცა მოსწავლეთა უკუკავშირის გათვალისწინებით შეცვალეს კვების ობიექტის წარმომადგენლები. ასევე, მოსწავლეთა უკუკავშირიდან გამომდინარე ხშირად ატარებს თვითმმართველობის წევრები სხვადასხვა ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებს. მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად და მოსწავლეთა მომსახურების გასაუმჯობესებლად, სკოლას შემუშავებული აქვს კითხვარები.

ინდიკატორი 4.2.1.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის წესი
2. დამრიგებლის სამუშაო დებულება
3. სკოლის შინაგანაწესი
4. სასკოლო სასწავლო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. გაფორმებული მემორანდუმები
6. Technovation Girls 2023 - facebook page
7. კლუბის წესდება და სამოქმედო გეგმა
8. მოსწავლეთა კითხვარები

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას მრავალ ორგანიზაციასთან თანამშრომლობს, რომელიც მოსწავლეებს პროფესიული ორიენტაციის მომსახურებებს სთავაზობს. სკოლა ჩართულია პროექტში, რომლის მიზანია მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის სწორად დაგეგმვა მოტივაციის ამაღლება, ტექნოლოგიური ცოდნის და ინტერესების გაღრმავება და თანამედროვე, მოთხოვნადი პროფესიით მოსწავლეთა დაინტერესება, რომელიც ხორციელდება „ევროკავშირი საქართველოსთვის“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს, ისტ კლასტერისა და ინოვაციური განათლების ფონდის ერთობლივი თანამშრომლობით. მოსწავლეები გაეცნენ შემდეგ მიმართულებებს: გრაფიკული დიზაინი, ვებ-დეველოპმენტი ვორდპრესის ბაზაზე, 3D მოდელირება, ტექნოლოგიური მეწარმეობა, აპლიკაციის დეველოპმენტი, ფრონტ-ენდ დეველოპმენტი, პროგრამირება პითონით. აღნიშნული პროექტი განსაკუთრებული წარმატება იყოს. სკოლის ერთ-ერთი მოსწავლის ტრენერად დასაქმება, რომელსაც დაევალა სხვა სკოლაში ფრონტ-ენდ დეველოპმენტის სწავლება. ასევე, სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ხორციელდება პროექტი „კინო სკოლაში“ რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები შეისწავლიან: კინოკადრის შექმნას, კადრსმიღმა მოქმედებას, მონტაჟს, პარალელურ მოქმედებას, ხმას, პერსონაჟის შექმნას და ა. შ. ასევე, სკოლაში არის ეკო-კომიტეტი, რომლის ძირითადი მიზანია მოსწავლეებში გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და მდგრადი პოლიტიკის აუცილებლობის გააზრება. გარდა ზემოთ ჩამოთვლილისა, სკოლას აქვს მემორანდუმი „საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან“, რომელთა ინიციატივით ხორციელდება პროექტი „ფეხბურთი სკოლებში“, რომლის მიზანია ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა და ფეხბურთის მეტად პოპულარიზება. სკოლის თქმით, პერიოდულად იგეგმება სხვადასხვა პროფესიის მქონე მშობლების შეხვედრები მოსწავლეებთან, რომლის ფარგლებშიც ხდება ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლა. სკოლა პროფ. ორიენტაციის პოპულარიზაციის მიზნით გაკვეთილებზე იწვევს კურსდამთავრებულებს, რომლებიც მოსწავლეებს აცნობენ ინფორმაციას მათ მიერ შერჩეული პროფესიების შესახებ.

ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ფეისბუქგვერდიდან ჩანს, რომ სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით და სთავაზობს მრავალფეროვან პროექტებსა და საკლუბო მუშაობას

ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. ინტერვიუს დროს სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლა პროექტებში მონაწილე მოსწავლეების ინტერესებიდან გამომდინარე შექმნის კითხვარებს, პერიოდულად აწარმოებს შესაძლებლობების კვლევას. მოამზადებს კითხვარებს მშობლებისთვისაც, რა დადებითი გავლენა მოახდინა მათ შვილებზე აღნიშნულ პროექტში ჩართვამ. მიღებული შედეგების გათვალისწინებით დაგეგმავს მომდევნო წლის აქტივობებს.

ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. გაფორმებული მემორანდუმები
2. ფეისბუქ გვერდი: https://www.facebook.com/profile.php?id=100055274745047

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია გაწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლის დირექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება ი.ს.გ ჯგუფი. ი.ს.გ. ჯგუფის შეხვედრები ხორციელდება სემესტრში მინიმუმ ოთხჯერ და საჭიროების შემთხვევაში მეტჯერაც. ი.ს.გ ჯგუფის შეხვედრაზე სსსმ მოსწავლის მშობელი აქტიურადაა ჩართული შვილის ინდივიდუალური საჭიროებების განსაზღვრასა და ი.ს.გ გეგმის შედგენაში. თითოეული მოსწავლისათვის შედგენილი ინდ. გეგმა ითვალისწინებს მათ ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და მაქსიმალურად არის მორგებული სსსმ მოსწავლეების საჭიროებებზე. სკოლაში ბრძანების საფუძველზე შექმნილია სკოლის შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც განიხილავს მონიტორინგის შედეგებს და წლის ბლოს დებს დასკვნას. სასწავლო წლის დაწყებამდე სსსმ მოსწავლე და მისი მშობელი ხვდება კლასის დამრიგებელს, სპეც. მასწავლებელსა და დირექტორს. შეხვედრის მიზანია მოხდეს მოსწავლის ადაპტირება სასკოლო გარემოსთან. ასევე, წინასწარ ხდება შეხვედრა იმ კლასის მშობლებთან, რომელშიც მოსწავლეს მოუწევს სწავლება. სპეციალურმა მასწავლებელმა წარმოადგინა მიმდინარე წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია წლის მანძილზე განსახორციელებელი აქტივობები.

ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია

2.სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას და ჩართულობის დონის ზრდას. შესაბამისად, სკოლაში USAID-თან თანამშრომლობით ტარდება და მომავალშიც გაგრძელდება სხვადასხვა სახის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საინფორმაციო შეხვედრები მშობლებთან, პედაგოგებთან და მოსწავლეებთან. სკოლა ასევე, თანამშრომლობს პროფესიულ სასწავლებლებთან. პროფ. ორიენტაციის პოპულარიზაციის მიზნით გეგმავს ტიპური და სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეების ვიზიტს პროფესიულ სასწავლებელში. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმაში სპეც. მასწავლებელს ყურადღება გამახვილებული აქვს მშობლის, დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლის ჩართულობაზე.

ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სასკოლო სასწავლო გეგმა
2. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ამ ეტაპისთვის სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული დამატებითი მომსახურება არის კვების ობიექტი, რომელთანაც სკოლას გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულება. წარმოდგენილია კვების ობიექტის ეკონომიკური საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ინდიკატორი 4.2.4.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა, კვების სერვისი, ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, რომელიც წინასწარ შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან.

ინდიკატორი 4.2.4.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში ფუნქციონირებს ბუფეტი. სკოლის დირექცია მონიტორინგს უწევს ბუფეტის მუშაობას. სკოლაში, სასკოლო საზოგადოების პერიოდული გამოკითხვის შედეგების საფუძველზე ხდება ბუფეტის მუშაობის შეფასებას და კვების ობიექტის მომსახურების გასაუმჯობესებლად იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას. სკოლაში დაფიქსირდა ასეთი ფაქტი, მოსწავლეთა უკუკავშირის გათვალისწინებით შეცვალეს კვების ობიექტის წარმომადგენლები.

ინდიკატორი 4.2.4.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კვების ობიექტთან დადებული იჯარის ხელშეკრულება-01/03/2023
2. ამონაწერი ეკონომიკური საქმიანობათა რეესტრიდან 06/04/2023
3. შემუშავებული კითხვარები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

II. დაწყებითი საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

2. სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ ქალაქ გორის №2 საჯარო სკოლამ წარმოადგინა ,,კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“. დოკუმენტის მიხედვით სკოლა საკუთარი პრიორიტეტების, მოსწავლეთა საჭიროებების, ადგილობრივი სასკოლო თემის მოლოდინებისა და სკოლისთვის ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით შეიმუშავებს სასკოლო კურიკულუმს.
კურიკულუმის შემუშავება იწყება სასწავლო წლის დასრულებისას კათედრის მიერ, რაც დასტურდება დაწყებითი საფეხურის კათედრის სხდომის N4 ოქმით. კათედრამ განიხილა თუ რა ფორმით მოხდება შუალედური სასწავლო მიზნების ჩამოყალიბება და 2023 – 2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავება, სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტის არჩევა, განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშის შემუშავება, მოსწავლეების მიღწევების შესახებ ინფორმაციის გაზიარება და მასწავლებლების პედაგოგიური საჭიროებების დადგენა. სხდომის ოქმის დანართს წარმოადგენს შემაჯამებელი ფორმები საგნების მიხედვით.
2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის სამუშაო ვერსიის გაცნობით დასტურდება, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის დაგეგმვა ხორციელდება შემუშავებული მეთოდოლოგიის და ეროვნული სასწავალო გეგმის დაწყებითი საფეხურის მისიის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2023-2024 სასწავლო წლის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმით გათვალისწინებულია: სავალდებულო საგანები, სადამრიგებლო საათი და სასკოლო პროექტები, თითოეული საგნისთვის დაგეგმვის დროს გათვალსიწინებული მოსწავლეთა დატვირთვა, სასწავლო მიზნების სტრუქტურა, სასწავლო რესურსები , შეფასება და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები სსსმ მოსწავლეებისთვის.

წარმოდგენილი მასალები იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ ,,კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“ იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის შედგენის მეთოდოლოგიით და დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ კურიკულუმის შემუშავება ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, წლის მანძილზე დაგროვილი გამოცდილება, როგორც ფორმალურ ასევე არაფორმალურ განათლებაში, მასწავლებლების რეფლექსიები, კათედრის სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები, მოსწავლეთა თვითშეფასებები, მშობელთა გამოკითხვისა და ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის შედეგები გამოკვეთს სასკოლო საზოგადოების ძლიერი მხარეს, რომელის გათვალისწინება ხდება ახალი კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიით გასაზღვრულია, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმს შეიმუშავებს კათედრა. კერძოდ, კათედრაზე ხდება მასწავლებლების მიერ ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. სასწავლო წლის დაწყებამდე 10 დღით ადრე დაწყებითი კათედრის წევრებს შეთანხმებული და დაგეგმილი აქვთ თემატური მიმართულებები, შემუშავებულია კომპლექსური დავალებების ბარათები, რომლებიც გასაცნობად ეგზავნება მშობლებს და იღებს უკუკავშირს.

დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი არის სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი. სასკოლო სასწავლო გეგმას ამტკიცებს პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. ამრიგად დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი და სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

4 . კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში არ არის წარმოდგენილი თუ რა გზებით და ფორმით ხდება კურიკულუმის გაზიარება სასკოლო საზოგადოების მიერ. დაწყებითი საფეხურის კრების ოქმით და ინტერვიურების პროცესში გამოიკვეთა, რომ კათედრებზე, მათ შორის დაწყებითის კათედრაზე ხდება მასწავლებლების ინდივიდუალური ხედვის წარდგენა, კოლეგებთან ერთად განხილვა და უკუკავშირი. მშობლებთან გაზიარებისთვის გამოიყენება მშობელთა კრება და სოციალური ქსელში შექმნილი დახურული ჯგუფები. სასურველია, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაშიც გაიწერის სასკოლო კურიულუმის გაზიარების გზები.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმს შემუშავების მეთოდოლოგია
2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
3. დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმი N4

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, ამის თაობაზე დასკვნის გაკეთება შესაძლებელია სსიპ - ქალაქ გორის №2 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის ზოგადასაგანმანათლებლო პროგრამის საგნობრივი I-IV, V-VI კლასების კურიკულუმებით. კურიკულუმის ჩარჩო-ცხრილში ჩაწერილია სავალდებულო თემა, საკითხი, რომელზედაც მოცემულია კონტექსტ მაგალითები, სამიზნე ცნებები, სამიზნე ცნებებთან მიმართებით ქვეცნებები, კომპლექსური დავალების იდეა და რესურსები კომპლექსურ დავალებაზე სამუშაოდ. კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებების შესრულება მოსწავლეს რთავს აქტიური სწავლის პროცესში, აქცევს მას სასწავლო პროცესის სუბიექტად. ამ ეტაპზე სკოლა დაწყებით საფეხურზე ახორციელებს კომპლექსურ დავალებებს, კათედრას თავის შემაჯამებელ ფორმაში ჩამოთვლილი აქვს განხორციელებულ კომპლექსურ დავალებები და აღნიშნავს, რომ დავალებებზე მუშაობის პროცესში განხორციელებული აქტივობები მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფდა ხარისხს, რაც გათვალისწინებული იქნება მომავალი სასწავლო წლის დაგეგმვის პროცესში და კურიკულუმის ჩარჩოში გაიწერება ახალი ან მოდიფიცირებული კომპლექსურები შესაბამისი მატრიცებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და განხორციელებული სასწავლო პროცესით, სკოლა ქმნის მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემოს.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი საგნობრივი პროგრამები დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნის შესაბამისად და მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (შედეგებსა და სამიზნე ცნებებს). ამისთვის კათედრა მოსწავლეებს სთავაზობს კომპლექსური ტიპის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დავალებებს. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას ხდება მოსწავლის პიროვნული ზრდა, სამიზნე ცნებებზე, გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირება. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების (მაგ. "პატარა მეყვავილე" პირველი კლასი, „დავეხმაროთ წიქელქუდას" მეორე კლასი, „დავეხმაროთ რწყილს ჭიანჭველას გადარჩენაში" მესამე კლასი, ,, ყვავილების ორანჟერია" მეოთხე კლასი „მსოფლიოს 10 უდიდესი ქვეყნის ინტერნეტიზაცია" მეხუთე კლასი-მათემატიკა; „გავიცნოთ ჩვენი სხეული (კოგნიტური სქემის შევსება)"-ბუნებისმეტყველება;) პირობებიდან ჩანს, რომ შესაძლებელია დავალების შესრულების პროცესში ამ უნარების გააქტიურება. მოსწავლეს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა, გააკეთოს დასკვნები, მოსწავლე დავალების წარდგენის დროს საუბრობს იმ გზაზე, იმ სტრატეგიებზე, რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება, ბოლოს აკეთებს რეფლექსიას რა გაუჭირდა, რა გააკეთა კარგად, რას შეცვლიდა სამომავლოდ და ა. შ. წარმოდგენილი I-VI კლასების კურიკულუმები და ინტერვიუს შედეგები იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ კურიკულუმი მიემართება როგორც საფეხურის საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული სამიზნე ცნებებისა და შედეგების, ასევე, გლობალური ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა და ხასიათი/ნებელობა) და მაკრო ცნებების (მაგ., კვლევა) ფორმირებაზე.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს საჭიროებების კვლევის გამოცდილება და სკოლაში უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები, სწავლის სტილი, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები შერჩეულია დაბალი, მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების ინსტრუმენტს „სასწავლო მენიუ", რომელიც მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, საკუთარი სწავლის ტემპის, ინტერესებისა თუ მზაობის დონის მიხედვით აირჩიონ სასწავლო მენიუში მოცემული აქტივობები. დიფერენცირება იკვეთება კომპლექსური დავალების პროდუქტის სახეობის შეთავაზებაშიც.

სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 სასწავლო წლის შემუშავებული „ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა (დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით №2-454, 15.09.2022წ.); მუშაობს ინკლუზიური განათლების შიდა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მონიტორინგის ჯგუფი (შექმნილია სკოლის დირექტორის ბრძანების №2-219, 02.12.2020წ.), წარმოდგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების პაკეტი, რომელიც მოიცავს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ზოგიერთ საგანში (მოცემულია ადაპტირებული კომპლექსური დავალება).

ამ ეტაპზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმები წარმოდგენილი არ არის შემდეგ საგნებში: ფიზიკური აღზრდა, მე და საზოგადოება, ისტ, მუსიკა და სახვითი და გამოყენებით ხელოვნება. თუმცა მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მოსწავლეების ინდივიდუალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე დაარეგულირებენ დატვირთვის მოცულობასა და ინტენსივობას, შეცვლიან სარბენ მანძილს, სირბილის ტემპს და სხვ (ფიზიკური აღზრდა). მოსწავლის საჭიროებების გათვალისწინებით დავალების მიცემისას შესაძლებელია არჩევანი გაკეთდეს მაგალითად, პოსტერის დამზადების დავალებაში დიზაინის, პლატფორმის, პრეზენტაციის თემის შერჩევის დროს (ისტ). 2023-2024 სასკოლო სასწავლო გეგმის სამუშაო ვერსიაში გათვალისწინებულია ინკლუზიური განათლების პრინციპები. სკოლა ინკლუზიურობას უზრუნველყოფს ადაპტირებული გარემოთი, მრავალფეროვანი რესურსების გამოყენებით, დიფერენცირებული მიდგომით, კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით.

ინტერვიუს შედეგები და წარმოდგენილი I-VI კლასების კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და სკოლაში არსებული ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ-ინკლუზიურ მიდგომებს.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებული

4. სკოლის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაციის გაცნობისას გაირკვა, რომ მასწავლებლებს აქვთ შეფასების რუბრიკების შექმნის გამოცდილება და შესაბამის კომპეტენცია თუ როგორ უნდა მოახდინონ მოსწავლის მიღწევების აღწერა და რეკომენდაციების მიცემა კონკრეტულ საკითხთა კლასტერთან მიმართებით. სკოლას წარმოდგენილ კურიკულუმში მოცემული აქვთ კომპლექსური დავალებები. კომპლექსური დავალების პირობები მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს, დაკონკრეტებულს საკითხის/ქვესაკითხის მიმართ, რაც წარმოადგენს იმის წინაპირობას, რომ განმავითარებელი შეფასება მოხდება ამ კრიტერიუმებზე დაყრდნობით და მიემართება გრძელვადიან მიზანს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმით და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს კურიკულუმებში წარმოდგენილ თემებისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნას, რაც ასევე დასტურდება

შეფასების რუბრიკების ნიმუშებმა და დაწყებითი კათედრების მასწავლებლებთან ინტერვიუმ, დაგვანახა რომ მასწავლებლებს აქვს საერთო ხედვა განმსაზღვრელი და განამვითარებელი რუბრიკების შექმნასთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5. კათედრის წევრებთან ინტერვიურების შედეგად დადგინდა, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს პედაგოგებმა გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება, კომპლექსური დავალების განხორციელებისას მიღებული უკუკავშირი, გაკვეთილის რეფლექსია და შემაჯამებელი დავალებების ანალიზი.

კათედრის ოქმით (შემაჯამებელი ფორმა) დასტურდება, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვას სკოლა მიღებული შედეგების გაანალიზების ბაზაზე მოახდენს.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები
2. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით №2-454, 15.09.2022წ.;
3. სკოლის დირექტორის ბრძანება №2-219, 02.12.2020 წ. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნილის შესახებ
4. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმი N4
6. შეფასებულს რუბრიკების ნიმუშები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესის წარმართვას გეგმავს ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩამოყალიბებული სწავლა-სწავლების ხუთი პრინციპის გათვალისწინებით, რომლებიც იძლევა სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. კერძოდ, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში წაროდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს სიღრმისეულად გაიაზროს სამიზნე ცნება და საკითხი, ააგოს ახალი ცოდნა წინაზე დაყრდნობით, ჩაერთოს შემოქმედებით პროცესში. პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებული დავალებები, სასკოლო პროექტები, სპორტული და საკლუბო აქტივობები უზრუნველყოფს მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეს მაღალი თვითშეფასება და განუვითარდებათ მნიშვნელოვანი უნარები.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2.. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების აგებულება წარმოაჩენს მოძრაობას ერთი სავალდებულო თემიდან მეორემდე, თემის ფარგლებში ძირითადი საკითხების თანმიმდევრობა, ასევე წარმოაჩენს ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე (წინა თემის, წინა ძირითადი საკითხის), განხილვაზე დაფუძნებულ მიდგომას, რაც ვლინდება სამიზნე ცნებებთან მიმართებით კურიკულუმებში მოცემული ქვეცნებების ანალიზის საფუძველზე.

ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ დავალებებზე მუშაობისას მასწავლებლები ყოველთვის ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, რაც მას უადვილებს, კომპლექსური დავალების შესრულებისას, გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა და შექმნას საინტერესო პროდუქტი.

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. დაწყებითი საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ბარათები/თემატური მატრიცები უზრუნველყოფენ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. დაგეგმილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეს საშუალება აძლევს, გააკეთოს რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, გააანალიზოს, რა შეასრულა კარგად, რა - ცუდად, რა ტიპის გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს და რას გაითვალისწინებდა სამუშაოს თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში. ასევე, მოსწავლე ჩაერთვება თანატოლთა შეფასების პროცესში, თვითშეფასების რუბრიკების შედგენაში. ადგილზე ვიზიტის დროს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

საბუნებისმეტყველო საგნების საგნობრივმა ექსპერტმა შეისწავლეთა მოსწავლეთა ნამუშევრები, ინტერვიურების დროდ პედაგოგებმა აღწერეს კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპები/სასწავლო პროცესის მიმდინარეობა (აქტივობები, რესურსები, სხვ.). დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას გამოცდილება აქვს კომპლექსურ დავალებებით მუშაობის, სრულად იცავს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ერთ-ერთ ძირითად კონცეფციას, მუშაობის პროცესში მოსწავლეს აფიქრებს სწავლის სწავლაზე და შესაბამისად ეხმარება მას მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაში.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ყველა კლასში არჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში პროცედურული ცოდნის გავლით. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში. მაგალითად, მათემატიკის მე-4 კლასში კომპლექსური დავალება „ ზოოპარკი“ განხორციელებისას მოსწავლეებს უწევთ პროცედურული ცოდნის გამოყენება (მიმატება, გამოკლების მოქმედებების შესრულება) და ამ ცოდნის ცხოვრებისეულ სიტუაციაში გამოყენება (ერთი დღის კვების რაციონის შედგენა , სხვადასხვა პირობის გათვალისწინებით, კონკრეტული ცხოველისთვის). ფიზიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი აღნიშნავს, რომ კურიკულუმებში არ არის მოცემული ინფორმაცია იმ აქტივობებზე, რომლებიც უზრუნველყოფს ცოდნის სამ კატეგორიაზე სასწავლო პროცესის ორიენტირებას. მაგრამ ეს ჩანს კომპლექსური დავალებების მაგალითებში.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმით და ინტერვიურებიის შედეგებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა გეგმავს, მოსწავლეს შესთავაზოს კომპლექსური ბუნების დავალებები, პროექტული ტიპის აქტივობები, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, პროდუქტის შექმნაზე. შესაბამისად, სასწავლო პროცესში მოსწავლე შეძლებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. მას განუვითარდება ყველა კომპეტენტური უნარი და შეძლებს ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
2. დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმი N4

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურის კომპლექსური დავალებების მაგალითები უზრუნველყოფენ სამიზნე ცნებების და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნოვრივ საკითხებზე დაყრდნობით. მოსწავლეები ეცნობიან საგნოვრივ საკითხებს, საკვანძო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეკითვებს, განიხილება კონპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს დაეხმარება ახალი აქტოვობების გააზრებაში.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებით, ჩანს რომ სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს ისეთ სასწავლო პროცესი, რომელიც მას დაეხმარება პიროვნულ ზრდასა და განვითარებაში, ისეთ პიროვნებად ჩამოყალიბებაში, რომელიც შეძლებს, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა, გაუმკლავდეს სტრესულ და კონფლიქტურ სიტუაციებს, გააკეთოს ეთიკური, კონსტრუქციული არჩევანი პერსონალურსა და სოციალურ ქცევებს შორის.

ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლები არა მხოლოდ სასწავლო პროცესში, არამედ არაფორმალურ აქტივობებშიც ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე, დაგეგმილი აქტივობები აძლევს მოსწავლეს საშუალებას ამოიცნოს საკუთარი შესაძლებლობები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართონ საკუთარი ემოციები. მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებული აქტივობების ეფექტურობაზე (მაგალითად, პროექტი- "სახალისო მათემატიკა" V-VI კლასები, ბუნებისმეტყველების კურიკულუმი, ბუნებისმეტყველება I კლასი: კომპლექსური დავალება „გავიცნოთ ჩვენი სხეული-კოგნიტური სქემის შევსება")

დასკვნისაით შეიძლება ითქვას, რომ სკოლა სასწავლო პროცესში გამოყენებული კონტექსტები უზრუნველყოფს მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3... კათედრებზე შემუშავებულია შეფასების რუბრიკები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იაზრებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნებს. ასევე, იციან სტანდარტის შედეგების მიღწევის 5-დონიანი ტაქსონომიის, როგორც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის მნიშვნელობა. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ასახულია ცოდნის კონსტრუირების დინამიკა დეკლარაციული ცოდნიდან პირებისეულ ცოდნამდე . მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასების მიზნით, სხვა მრავალი ინსტრუმენტის მსგავსად, მათემატიკის მასწავლებელი იყენებს ინსტრუმენტს „გასასვლელი ბილეთი". ამ ინსტრუმენტების გამოყენებით მასწავლებელი თვალს ადევნებს მოსწავლის განვითარების პროცესს მთელი სემესტრის განმავლობაში, იღებს ინფორმაციას მოსწავლეთა საჭიროებების, ძლიერი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

სუსტი მხარეების შესახებ. სპორტის საგნობრივი ექსპერტის შეფასებით, სპორტის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საჭიროებს დახვეწას. ასევე, ჰოლისტური განვითარების მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია მოსწავლეების საკუთარ ცოდნაზე დაფიქრება. მიზანშეწონილია სკოლამ, განმავითარებელი შეფასების ერთ-ერთ ინსტრუმენტად გამოიყენოს მოსწავლის თვითშეფასების კითხვარი. ინფორმციული ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი მოსაზრებით, საგნის მასწავლებელს ამ ეტაპზე არ შეუქმნიათ ჰოლისტური ტიპის შეფასების რუბრიკა, თუმცა გასაუბრების დროს გააზრებულად ჩამოთვალა დავალების შესრულების ეტაპები და ეტაპების შედეგების ინდიკატორები, რაც ადასტურებს ჰოლისტური ტიპის შეფასების რუბრიკის შექმნის შესაძლებლობას მომავალში.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4.. სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასება (კომპლექსური დავალების შეფასების კრიტერიუმები) არის ვალიდური, შეესაბამება ესგ-ს მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. მასში ასახულია მხოლოდ ის ცოდნა და უნარი, რომლის გაზომვაც არის დაგეგმილი. პროცესზე პასუხისმგებელი პირები უზრუნველყოფენ შეფასების პროცესის გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლამ შეიმუშავა ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები“, რომელიც აღწერს შეფასების ვერიფიკაციის არსს, ვერიფიკაციის სამიზნე ინსრუმენტის შერჩევის მექანიზებს, ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნასა და ჯგუფის წევრების ფუნქციებს, ვერიფიკაციის დასკვნის მომზადებას. ასევე წარმოდგენილია ვერიფიკაციის ჯგუფის სამოქმედო გეგმის ჩარჩო.

შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის სისტემა, შეფასების სისტემის რეფლექსია, სკოლას დაეხმარება მოსწავლეების მიღწევების შედეგების ანალიზში.

ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია

6.მოსწავლის პირადი საქმეები, სადაც შეტანილია წლიური შეფასებები, ცნობები და ექსტერნზე ინფორმაცია, საქმისწარმოების წესისი შესაბამისად ინახება საქმეთამმართველთან. მოსწავლის პირადი საქმეების შენახვის ვადა 75 წელი განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვა და მონიტორინგის მექანიზმებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
2. დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმი N4
3. პერსონალურ მონაცემთა დაცვა და მონიტორინგის მექანიზმები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნისთვის საჭირო ყველა საკითხი, რომლებსაც მომავალი სასწავლო წლისთვის გაითვალისწინებს სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა ხაზს უსვამს სასკოლო კლიმატის მნიშვნელობას. თანამშრომლობითი ურთიერთობები პრიორიტეტულია საქმიანობის პროცესში. დირექტორი ღიაა მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების იდეების მიმართ, წაახალისებს მოქმედების თავისუფლებას, მათ ჩართულობას და მონაწილეობას სკოლის განვითარებაში.

ინდიკატორი 2.2.3.1.დაკმაყოფილებულია

.2. დაწყებით საფეხურის კურიკულუმით გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები, და დიფერენცირებული მიდგომები. კათედრის ოქმის შემაჯამებელი ფორმიდან ჩანს, რომ სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

წერების ჩატარება. სკოლა ახორციელებს მოსწავლეთა საჭიროებების კვლევების, რომლის ანალიზის შედეგები გამოიყენება სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს. სკოლა გეგმავს, საგნობრივი მიმართულებებით განახორციელოს სასწავლო პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას.

ინდიკატორი 2.2.3.2.დაკმაყოფილებულია

3. კათედრის წევრთა შორის გუნდური მუშაობა, გამოცდილების გაზიარება, სკოლაში მიმდინარე ერთ-ერთი პროცესია, რასაც ადასტურებს წარმოდგენილი დაწყებისთი საფეხურის კათედრის ოქმები და სამუშაო შეხვედრის ანგარიშები. კურიკულუმის განხორციელების პროცესში მნიშვმელოვანია კომუნიკაცია, როგორც კათედრის წევრებს შორის, ასევე მოსწავლეებთან და მშობლებთან. სკოლას გააზრებული აქვს, რომ პრობლემის გადაჭრის გზების მოსაძებნად თუ წარმატების უზრუნველსაყოფელად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა. სკოლა მზადაა, სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევების გადაწყვეტაში ჩართოს სრულიად სასკოლო საზოგადოება.

ინდიკატორი 2.2.3.3.დაკმაყოფილებულია

4. სკოლის დირექციასთან და მასწავლებლებთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ დაწესებულებაში პოზიტიური სასწავლო კლიმატის შესაქმნელად მნიშვნელოვანი ფაქტორებია: აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, აკადემიური და პიროვნული ზრდა, მიკუთვნებულობის მაღალი გრძნობა, სკოლის განვითარებაზე პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა.

ინდიკატორი 2.2.3.4 .დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურს კურიკულუმი
2. სკოლის სოციალური ქსელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ,,სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“, რომელიც მოიცავს კურიკულუმის განვითარების მიზნით მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს: დასახული მიზნებისა და პროცესების შეფასება, კომპლექსური დავალების შესრულების მიმდინარეობის დაკვირვება და ანალიზი, დაკვირვების შედეგების ასახვა ანგარიშის ფორმაში, რომელიც დოკუმენტის დანართს წარმოადგენს. სკოლის დირექციის განმარტებით, მიმდინარებს მუშაობა სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სრულყოფაზე, სადაც განისაზღვრება თუ რა პერიოდულობით მოხდება მონიტორინგი, ვინ გააკეთებს, რომელ წყაროებს შეისწავლიან, როგორი იქნება შეფასება. საგნობრივი კურიკულუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მონიტორინგისა და შეფასების წარმოებაში მნიშვნელოვანი ელემენტებია მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირება, მასწავლებლების პროფესიული საჭიროებების იდენტიფიცირება, სკოლის ინსტიტუციური განვითარება და ყოველივე ამის საფუძველზე დანერგვის ინსტრუმენტების სრულყოფა.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკაყოფილებულია

2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის თანახმად, სკოლა გეგმავს განახორციელოს მონიტორინგი და შეფასება 3 საკვანძო მიმართულებით: **ანგარიშვალდებულება**, რომელიც მიზნად ისახავს სკოლის მმართველ გუნდს მისცეს საშუალება, ისწავლოს წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და გააუმჯობესოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. **მიღწევა,** რა დროსაც მასწავლებლები შეძლებენ შეაფასონ მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მისცენ უკუკავშირი და დაგეგმონ შემდგომი სწავლის პროცესი. **დაგეგმვა,** რომელიც ხელს შეუწყობს მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. ამ სამი მიმართულების საფუძველზე გაანალიზდება სასკოლო საზოგადოების მიღწევები და წარსულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შემუშავდება ახალი გეგმები.

.ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია

3.. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიასი აღწერილია, რომ შეფასების პროცესის ანალიზში აისახება კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. სკოლა ანალიზზე დაფუძნებით შეიმუშავებს პრიორიტეტულ და სტრატეგიულ ხედვას და ასახავს სამოქმედო გეგმასა და კურიკულუმში. ყველა კვლევითი კითხვა და იდეა მოემსახურება სკოლის წინაშე მდგომ გამოწვევებსა და მოლოდინებს, რაც შეფასების სფეროების და მიმართულებების მიზნობრიობის დადგენას შეუწყობს ხელს.

.ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

1.დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
2.სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით და ინტერვიუირების შედეგად დგინდება, რომ სასწავლო პროცესის შეფასება ეფუძნება სხვადასხვა წყაროდან მიღებულ ინფორმაცია. კერძოდ გამოკითხვა, დაკვირვება, ურთიერთთანამშრომლობა, რაც დასტურდება კურიკულუმს მეთოდოლოგიის დანართებით: ანგარიში ფორმა, განმავითარებელი რუბრიკის ფორმა, კურიკულუუმის ჩარჩო, სადა ნათლად ჩანს გრძელვადიან მიზნებზე ორიეტერებული სასკოლო კურიკულუმის არსებობა. კათედრის ოქმები და ხარისხის ჯგუფის მასალები მტკიცებულებაა მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და მხარდაჭერის ასპექტში. სკოლაში მოქმედი მრჩეველთა საბჭო აფასებს სასკოლო გარემოს უსაფრთხოებას და გასცემს რეკომენდაციებს. ყოველი წლის ბოლოს ხდება მატერიალური რესურსების ინვენტარიზაცია და შეფასება.

ინდიკატორი 2.3.2.1დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა ეტაპზე განხორციელებული სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის პრაქტიკის დამადასტურებელი ინსტრუმენტები. კერძოდ: სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის კვლევა, მოსწავლეთა გამოკითხვები და თვითშეფასება, ასევე დამრიგებლის მიერ შემუსავებული მოსწავლეთა ანკეტირების ფორმა.

ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

3. სკოლის მიერ წარმოდგენილ კათედრის ოქმის შემაჯამებელ ფორმებში ჩანს, რომ მოსწავლეთა დიაგნოსტირება მოხდება შესაბამისი ინსტრუმენტის საშუალებით, სადაც კომპლექსური დავალების შესრულების ანალიზის შედეგად გამოიკვეთება მოსწავლეთა ტიპიური პრობლემები. დაწყებითი კათედრის სხდომის ოქმით წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები, უზრუნველყოფს შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას.

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია

4. დაწყებითი საფეხურის კათედრის ოქმიდან, ჩანს, რომ სასწავლო პროცესი შეფასების დროს გათავლიწინებული იქნება სხვადასხვა ფაქტორები როგორებცაა: დრო და სივრცე, მულტიფაქტორული მიდგომა, მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავება, სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირება, იდენტიფიცირება და ყველაფერი, რასაც შეუძლია გავლენის მოხდენა შედეგზე.

ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
2.სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
3. დაწყებითი საფეხური კათედრის ოქმი N4

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში გაწერილია კურიკულუმის გადასინჯვის და რევიზიის მექანიზმები, კერძოდ, სასწავლო წლის ბოლოს დაწყებითი კათედრის მიერ მოხდება კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია, ხოლო შედეგები (ხარვეზების, ინოვაციების) გათვალისწინებული იქნება მომავალი წლის კურიკულუმსა და სამოქმედო გეგმაში, სადაც მკაფიოდ აისახება სკოლის პრიორიტეტები. სკოლა გეგმავს შექმნას კურიკულუმის განვითარების სარეკომენდაციო საჭიროებათა მხარდამჭერი პაკეტი. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიით, ჩანს სკოლის მზაობა, უზრუნველყოს არსებული დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის რევიზია, შეთავაზებული რეკომენდაციების გათვალისიწნებით.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლას გააზრებული აქვს, რომ სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში ასახული უნდა იყოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები, საგნობრივი კურიკულუმების განხორციელებისას მიღებული გამოცდილება. შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახება ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებში, როგორც კლასის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ასევე, საფეხურის დონეზე, ახალი კურიკულუმის შედგენისას გაითვალისწინებული იქნება ყველა ის პრობლემები, რომელიც დანერგვის პროცესში წარმოიქმნა. პრობლემის გადასაჭრელად განსახორციელებელ ცვლილებებს კოორდინირებას გაუწევს საგნობრივი კათედრები.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემშავების მეთოდოლოგია

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

III. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

IV. საბაზო საფეხური

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმი)	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ ვიზიტის დროს წარმოდგენილ დოკუმენტში „სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“ აღწერილია კურიკულუმის შემუშავების პროცესი, კერძოდ, აღნიშნულია, რომ კურიკულუმის შემუშავება იწყება სასწავლო წლის დასრულებისას კათედრების მიერ, შემდეგ ხორციელდება შემუშავებული კურიკულუმის კათედრისთვის წარდგენა. სასწავლო წლის დაწყებამდე 10 დღით ადრე კათედრებს შეთანხმებული და დაგეგმილი აქვთ თემატური მიმართულებები, და შემუშავებულია კომპლექსური დავალებების ბარათები. კურიკულუმის განხორციელება ითვალისწინებს კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესის დაგეგმვას, კომპლექსური დავალებების მშობლებისათვის გაცნობას ბარათების გადაგზავნით, მოსწავლის მიერ კომპლექსური დავალების შესრულებას, ხდება შესრულებული დავალების განმავითარებელი შეფასება რუბრიკებით და ანალიზი, კათედრაზე მასწავლებლების მიერ აზრთა ურთიერთგაზიარება.

მოწოდებულ დოკუმენტაციაზე („სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“, საგნობრივი კურიკულუმები), კათედრის ხელმძღვანელთან და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნების პედაგოგები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

თანამშრომლობენ ერთმანეთთან, განიხილავენ ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, აფიქსირებენ საგნების მიხედვით სამიზნე ცნებების/ქვეცნებების ურთიერთკავშირის მნიშვნელობას, რაზედაც ამახვილებენ ყურადღებას სასწავლო პროცესის დაგეგმვისას, მათ შორის კომპლექსური დავალებების საშუალებით. მშობლებისთვის კომპლექსური დავალებების გაცნობა უზრუნველყოფილია ბარათების საშუალებით და ფიქსირდება მათი შეხედულებების მასწავლებლების მიერ გათვალისწინების მზადყოფნა, კომპლექსური დავალების შესრულებაზე მიმდინარეობს დაკვირვება და ანალიზი შესაბამისი ანგარიშის ფორმის მიხედვით (რა და როგორ უნდა მომხდარიყო, რა მოხდა, რა უნდა გაკეთდეს მომავალში სხვანაირად), დაკვირვების შედეგები კი აისახება მომავალი წლის კურიკულუმის შემუშავებაში.

ამრიგად, კურიკულუმის შემუშავების არსებული მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულა

2. გორის №2 საჯარო სკოლის დირექციისა და საგნობრივი კათედრებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები; სკოლას აქვს გარკვეული კითხვარები ამასთან დაკავშირებით, რეგულარულად ხორციელდება მშობელთა კრებები, არსებობს დამრიგებლის და ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სასკოლო პროექტების (პროექტი „კინო სკოლაში“, პროექტი „ახალგაზრდული ტექნოლოგიური კლუბების ქსელი“, და სხვ.) დოკუმენტაცია, საიდანაც იკვეთება, რომ დაწესებულება ითვალისწინებს მოსწავლეთა და მშობლების ინტერესებს, მასწავლებლების ინიციატივებს და წინადადებებს.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3. ინტერვიუს შედეგად დადგინდა, საგნობრივ კათედრებზე კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართული იყო კათედრის ყველა მასწავლებელი, რომელიც საბაზო საფეხურზე ასწავლის; სკოლის პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრების წევრები აქტიურად ესწრებოდნენ სასკოლო საზოგადოებისათვის მხარდაჭერის გარე ღონისძიებებს (ქოუჩინგებს, ტრენინგებს, და სხვ); სკოლაში არსებობს მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული დამრიგებლის სამოქმედო გეგმები; მოსწავლეთა ჩართულობით ადგენენ სადამრიგებლო საათის შინაარსს; კლასის დამრიგებლების დახმარებით მშობლები ჩართულები არიან სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავებაში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

მოსწავლეები ჩართული არიან საგნობრივი კურიკულუმის შემუშავებაშიც, ვინაიდან კომპლექსური დავალებების შესრულების შედეგების ანალიზის შედეგად, როგორც აღინიშნა კათედრის მასწავლებლების მიერ, გამოიკვეთა ის აქტივობები და რესურსები, რომლებიც უფრო ეფექტური აღმოჩნდა და შესაბამისად გათვალისწინებული იქნება მომავალი 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავებაში. აღსანიშნავია, რომ მტკიცებულებების სახით არ არის წარმოდგენილი შედეგების ანალიზის დოკუმენტები, თუმცა, სკოლის „კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტით დასტურდება, რომ დაწესებულებას გაცნობიერებული აქვს, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის შემუშავების პროცესში, გასაუბრების დროს შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ გორის №2 საჯარო სკოლის საზოგადოება წარმოადგენენ ერთიან გუნდს, რომელიც ერთობლივად წარმართავს კურიკულუმის შემუშავების პროცესებს.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4.. სკოლის დირექტორთან, საგნების კათედრის ხელმძღვანელთან და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგები საშუალებას იძლევა გამოტანილ იქნას დასკვნა, რომ საგნების კურიკულუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. სკოლაში დირექტორი ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე, ასევე წლის განმავლობაში რამდენჯერმე ატარებს საერთო მშობელთა კრებას მათი ინფორმირების მიზნით. კლასის დამრიგებლებს აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან, რათა მუდმივად იყვნენ ჩართულნი სასკოლო ცხოვრებაში. ამჟამად სკოლას აქვს მხოლოდ სოციალურ გვერდი facebook-ი (https://www.facebook.com/Gori.skola02), სადაც ქვეყნდება სხვადასხვა სასკოლო საზოგადოებისთვის საინტერესო/მნიშვნელოვანი ინფორმაცია. სკოლის შენობის თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულია საინფორმაციო დაფა. გასაუბრების დროს კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ პროცესები ყალიბდება თანამშრომლობისა და თანამონაწილეობის ფორმატში პასუხისმგებლობის გადანაწილებით.

ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. კურიკულუმს შემუშავების მეთოდოლოგია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმი

2.1.2.კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

6. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
7. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
8. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
9. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
10. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. კერძოდ, სკოლა საბაზო საფეხურზე მოსწავლეებს სთავაზობს წლიურ პროგრამას, რომელიც დაგეგმილია საფეხურის დონეზე განსაზღვრული მისაღწევი შედეგების გათვალისწინებით. სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივი ცოდნის დასამუშავებლად. კურიკულუმში წარმოდგენილი დავალებების შესრულება მოსწავლეს რთავს აქტიური სწავლის პროცესში, აქცევს მას სასწავლო პროცესის სუბიექტად. სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია გრძელვადიან სამიზნე ცნებებზე და რომელთა შესრულება მოსწავლისგან მოითხოვს მაღალი სააზროვნო უნარების გააქტიურებას, დამოუკიდებლად სწავლას.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

2.. წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმები **სრულად** მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებისკენ. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები შესაბამისობაშია გრძელვადიან მიზნებთან. მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად ვლინდება, რომ მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართული სასწავლო პროექტებში, მუშაობენ კომპლექსურ დავალებებზე, ეფექტურად იყენებენ განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტს, მათი ანალიზის და დასკვნების შედეგებს ითვალისწინებენ მოსწავლეთა პიროვნული განვითარებისა და ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების მისაღწევად. მაგალითად, მე-9 კლასში ქიმიის სასკოლო კურიკულუმით დაგეგმილი კომპლექსური დავალების „პოლიეთილენი - საფრთხე თუ სარგებელი“ ფარგლებში გათვალისწინებულია სამივე სამიზნე ცნების დამუშავება; მოცემულია აღნიშნულ სამიზნე ცნებებთან მიმართებით ქვეცნებები საკითხთან/ქვესაკითხთან კავშირში; კომპლექსური დავალების იდეა მოიცავს მსჯელობას პოლიეთილენის გამოყენების დადებით და უარყოფით ასპექტებზე; დაგეგმილია შემდეგი რესურსების გამოყენება: ძირითადი სახელმძღვანელო (ტექსტზე მუშაობა), ვიდეორესურსი „პოლიმერები ყოველდღიურ ცხოვრებაში“ . აღნიშნული აქტივობით, მოსწავლე პასუხობს მასწავლებლის კითხვებს, მონაწილეობს დისკუსიაში, გამოთქვამს საკუთარ აზრს, შედის კომუნიკაციაში სხვა მოსწავლეებთან; ავლენს სამოქალაქო კომპეტენციას პოლიეთილენით დაბინძურების ეკოლოგიურ პრობლემასთან დაკავშირებით, და ა.შ.

ინტერვიუს შედეგები და საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ კურიკულუმები მიემართება როგორც საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებული სამიზნე ცნებებისა და შედეგების, ასევე, გლობალური ფუნქციური უნარების (კრიტიკული აზროვნება, კრეატიულობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა და ხასიათი/ნებელობა) და მაკრო ცნებების (მაგ., კვლევა) ფორმირებაზე.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3.წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს საჭიროებების კვლევის გამოცდილება და სკოლაში უზრუნველყოფილია სსსმ მოსწავლეებთან მუშაობა. სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა განსხვავებული თავისებურებები, სწავლის სტილი, იგრძნობა მოსწავლეთა მხარდაჭერა, აქტივობები შერჩეულია დაბალი, მაღალი და საშუალო მზაობის მოსწავლეებისათვის. სკოლას წარმოდგენილი აქვს 2022-2023 ს.წ. შემუშავებული „ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა (დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით №2-454, 15.09.2022წ.); მუშაობს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი (შექმნილია სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დირექტორის ბრძანების №2-219, 02.12.2020წ. საფუძველზე). ინტერვიუს მსვლელობისას, მასწავლებლებმა წარმოადგინეს კომპლექსური დავალებების ბარათები, მოსწავლეთა ნამუშევრები, ზეპირსიტყვიერად აღწერილი იყო კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპები / სასწავლო პროცესის მიმდინარეობა (აქტივობები, რესურსები, სხვ.).
ინტერვიუს შედეგები, წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, სკოლაში არსებული ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა იძლევა საშუალებას დავასკვნათ, რომ კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ-ინკლუზიურ მიდგომებს.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებული

4.წარმოდგენილ მასალებში მოცემულია ნიმუშების სახით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიმართულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებზე. წარმოდგენილი მასალის, ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგების საფუძველზე, შესაძლებელია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სკოლის მიერ დაგეგმილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს.

ინდიკატორი 2.1.2.4 დაკმაყოფილებული

5 კათედრის წევრებთან ინტერვიურების შედეგად დადგინდა, რომ კურიკულუმის შემუშავების დროს პედაგოგებმა გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება, კომპლექსური დავალების განხორციელებისას მიღებული უკუკავშირი, გაკვეთილის რეფლექსია და შემაჯამებელი დავალებების ანალიზი. კათედრის ოქმით (შემაჯამებელი ფორმა) დასტურდება, რომ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის დაგეგმვას სკოლა მიღებული შედეგების გაანალიზების ბაზაზე მოახდენს.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებული

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, დამტკიცებული სკოლის დირექტორის ბრძანებით №2-454, 15.09.2022წ.;
3. სკოლის დირექტორის ბრძანება №2-219, 02.12.2020 წ. ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნილის შესახებ

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებზე დაყრდნობით შესაძლებელია მსჯელობა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობაზე, კერძოდ, კურიკულუმით განსაზღვრული კომპლექსური დავალებების ფარგლებში მოსწავლის მიერ შესაქმნელი პროდუქტების საფუძველზე.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საბაზო საფეხურის კურიკულუმების აგებულება წარმოაჩენს მოძრაობას ერთი სავალდებულო თემიდან მეორემდე, თემის ფარგლებში ძირითადი საკითხების თანმიმდევრობა ასევე წარმოაჩენს ახალი ცოდნის წინარე ცოდნაზე (წინა თემის, წინა ძირითადი საკითხის) განხილვაზე დაფუძნებულ მიდგომას, რაც ასევე ვლინდება სამიზნე ცნებებთან მიმართებით დაზუსტებული ქვეცნებების ანალიზის საფუძველზე.

მაგალითისათვის, ქიმიის მე-8 კლასის კურიკულუმი, პირველი სავალდებულო თემის „წყალი ხსნარები“ პირველი ძირითადი საკითხის „წყლის შედგენილობა და ფიზიკური თვისებები, მისი როლი ბუნებასა და ყოფა - ცხოვრებაში“ ფარგლებში სამიზნე ცნება „ნივთიერებასთან“ მიმართებით შემოტანილია ქვეცნებები: მოლეკულა, ატომი, ქიმიური ფორმულა, მასური წილი, ნივთიერების ფიზიკური თვისებები; ამავე თემის მე-2 ძირითადი საკითხის ფარგლებში, სამიზნე ცნება „ნივთიერებასთან“ მიმართებით შემოდის უკვე ხსნარებთან დაკავშირებული ქვეცნებების ჯგუფი (ჭეშმარიტი ხსნარი, სუსპენზია, ემულსია, კოლოიდური ხსნარები, და სხვ.);

ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების ბარათები/თემატური მატრიცები უზრუნველყოფენ მოსწავლეებში მეტაკოგნიტური უნარების განვითარებაზე. სკოლას გააზრებული აქვს სწავლის სწავლის მნიშვნელობა მოსწავლის განვითარებისათვის და აქცენტს აკეთებს ამ მიმართულებაზე, რათა მოსწავლემ თვითონ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შეძლოს საქმიანობის განსაზღვრა, დავალების აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი და ქცევის სოციო-ემოციური მართვა. მოსწავლეს საშუალება მიეცემა, გააკეთოს რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, გააანალიზოს, რა შეასრულა კარგად, რა - ცუდად, რა ტიპის გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს და რას გაითვალისწინებდა სამუშაოს თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მოსწავლეებს რთავენ თვითშეფასებისა და თანატოლთა შეფასების პროცესში.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. საბაზო საფეხურის კურიკულუმებიდან ჩანს, რომ სკოლა მოსწავლეებს შესთავაზებს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის, კომპლექსური ბუნების დავალებას, არაფორმალური აქტივობების განხორციელებას, რაც გულისხმობს სასწავლო პროცესის ორიენტირებას ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). მოსწავლე შეძლებს, დაამუშაოს კონკრეტული ფაქტობრივი მასალა (დეკლარატიული ცოდნა), გამოიმუშაოს გარკვეული უნარები (პროცედურული ცოდნა) და გადაიტანოს მოქმედებაში (პირობისეული ცოდნა). აღსანიშნავია, რომ სკოლას აქვს არაფორმალური აქტივობების მიმართულების გამოცდილება.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. საბაზო საფეხურის კურიკულუმით და ინტერვიურებით დგინდება, რომ სკოლა გეგმავს, მოსწავლეს შესთავაზოს კომპლექსური ბუნების დავალებები, პროექტული ტიპის აქტივობები, რომლებიც ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, პროდუქტის შექმნაზე. შესაბამისად, სასწავლო პროცესში მოსწავლე შეძლებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას. მას განუვითარდება ყველა კომპეტენტური უნარი და შეძლებს ცოდნის ინტეგრირებულად გამოყენებას.

ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

---

1. საბაზო საფეხურის კურიკულუმი
2. შეფასების რუბრიკები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ დაგეგმილმა სასწავლო პროცესმა უნდა უზრუნველყოს სამიზნე ცნებების და მათი მკვიდრი წარმოდგენების გათავისება საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.
კურიკულუმის შევსებული ჩარჩო-ცხრილები, კათედრის ხელმძღვანელთან და მასწავლებლებთან ინტერვიუ აჩვენებს, რომ მასწავლებლების მიერ გააზრებულია დასამუშავებელი საგნობრივი საკითხები, სამიზნე ცნებები, მათი მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები /ტერმინები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში და საკითხთან კავშირში, კომპლექსური დავალების იდეები და რესურსები; მათ აქვთ 2022-2023ს.წ. კომპლექსური დავალებების განხორციელების გამოცდილება, რაც იძლევა საშუალებას გამოვიტანოთ დასკვნა, რომ სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი კონტექსტები ძირითადად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. საბაზო საფეხურის კურიკულუმებში კონკრეტული სავალდებულო თემის ფარგლებში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებების განხორციელება, რომლებიც ორიენტირებულია პრობლემის გადაჭრაზე, შემოქმედებითი პროდუქტის შექმნაზე, გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპეტენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს განახორციელოს კომპლექსური დავალება; კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლე არამარტო განიხილავს და ასაბუთებს თავის მოსაზრებას, არამედ ეცნობა სხვა მოსწავლეების პროდუქტებს, ითვალისწინებს მათ გამოცდილებას და მოსაზრებებს, რომელიც შესაძლებელია მის მიერ გამოთქმული მოსაზრებისგან/გამოცდილებისგან განსხვავებული აღმოჩნდეს, ეძებს არგუმენტებს, შეიძლება უპასუხოს კონტრარგუმენტებით, მოძებნოს გამოსავალი და ა.შ.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3.საბაზო საფეხურის კურიკულუმის მიხედვით, სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს საგნობრივი საკითხების წვლილს მოსწავლის ჰოლისტურ (ფიზიკური, კოგნიტური, სოციო-ემოციური) განვითარებაში; წარმოდგენილ მასალებში არის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც მიმართულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. ეროვნული სასწავლო გეგმა მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გვთავაზობს სტანდარტის შედეგების მიღწევის 5-დონიან ტაქსონომიას. სასურველია სკოლამ, მოსწავლის ჰოლისტური შეფასების მექანიზმად განმავითარებელი შეფასების სახით გამოიყენოს აღნიშნული ფორმა.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან და ინტერვიურებიდან ჩანს, რომ მასწავლებლები შეფასებას განახორციელებენ გარკვეულ მიზანზე ორიენტირებით, რაც განსაზღვრავს როგორც შეფასების შინაარსს, ასევე პროცესს, რომლითაც ეს შედეგი მიიღწევა. შეფასებაში გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა ძალისხმევა, პასუხისმგებლობა, ჩართულობა და სხვ., რითაც სასკოლო საზოგადოებას და, პირველ რიგში, მოსწავლეს ექნება განცდა, რომ შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი, სანდო და უზრუნველყოფილი იქნება ყველა მოსწავლის მიმართ თანაბარი სამართლიანობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლამ შეიმუშავა ,,შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმები", რომელიც აღწერს შეფასების ვერიფიკაციის არსს, ვერიფიკაციის სამიზნე ინსრუმენტის შერჩევის მექანიზებს, ვერიფიკაციის ჯგუფის შექმნასა და ჯგუფის წევრების ფუნქციებს, ვერიფიკაციის დასკვნის მომზადებას. ასევე წარმოდგენილია ვერიფიკაციის ჯგუფის სამოქმედო გეგმის ჩარჩო.
შეფასების სისტემის შიდა ვერიფიკაციის სისტემა-შეფასების სისტემის რეფლექსია, სკოლას დაეხმარება მოსწავლეების მიღწევების შედეგების ანალიზში.

ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია

6.მოსწავლის პირადი საქმეები, სადაც შეტანილია წლიური შეფასებები, ცნობები და ექსტერნზე ინფორმაცია, საქმისწარმოების წესისი შესაბამისად ინახება საქმეთამმართველთან. პირადი საქმის შენახვის ვადები 75 წელი განსაზღვრულია პერსონალური მონაცემთა დაცვის წესის და მონიტორინგის მექანიზმებში.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.საბაზო საფეხურის კურიკულუმი
2. პერსონალურ მონაცემთა დაცვა დამონიტორინგის მექანიზმები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა განსაზღვრული აქვს სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს შექმნისთვის საჭირო ყველა საკითხი, რომლებსაც მომავალი სასწავლო წლისთვის გაითვალისწინებს სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა ხაზს უსვამს სასკოლო კლიმატის მნიშვნელობას. თანამშრომლობითი ურთიერთობები პრიორიტეტულია საქმიანობის პროცესში. დირექტორი ღიაა მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების იდეების მიმართ, წაახალისებს მოქმედების თავისუფლებას, მათ ჩართულობას და მონაწილეობას სკოლის განვითარებაში.

ინდიკატორი 2.2.3.1.დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. კერძოდ, საბაზო საფეხურზე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები, საჭიროებები, შესაძლებლობები და სასწავლო პროცესიც ამის შესაბამისად იგეგმება. სკოლას გააზრებული აქვს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში მოსწავლეთა ჩართულობა და მოსწავლის საჭიროებებისა და პროგრესის მუდმივი მონიტორინგი. გამოხატავს მზაობას, ჩატარდეს დიაგნოსტიკური შეფასების, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევები, რომლის ანალიზის შედეგად შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის დაგეგმვა თითოეული მოსწავლის საჭიროების მაქსიმალურად გათვალისწინებით. სკოლა, ასევე, გეგმავს, საგნობრივი მიმართულებებით განახორციელოს სასწავლო პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას.

ინდიკატორი 2.2.3.2.დაკმაყოფილებულია

3.კათედრის წევრთა შორის გუნდური მუშაობა, გამოცდილების გაზიარება, სკოლაში მიმდინარე ერთ-ერთი პროცესია. სკოლას გააზრებული აქვს, რომ პრობლემის გადაჭრის გზების მოსაძებნად თუ წარმატების უზრუნველსაყოფელად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა. სკოლა გამოხატავს მზაობას, სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევების გადაწყვეტაში ჩართოს სრულიად სასკოლო საზოგადოება. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის მიერ საკუთარი თვალით დანახული პერსპექტივები შესაძლებელია დაწესებულებისთვის იყოს ნაყოფიერიც და ხელშემშლელიც იმის მიხედვით, თუ როგორია სასკოლო კულტურა.

ინდიკატორი 2.2.3.3.დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

